

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის საქალაქო და სააკადემიურ სასამართლოებში

მონიტორინგის ანგარიში №7
პერიოდი: აგვისტო, 2014 – იანვარი, 2015
ივნისი, 2015
თბილისი, საქართველო



მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკის
შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)
გულუხვი თანადგომით. წარმოდგენილ კვლევაზე პასუხისმგებელია საია და
ის არ გამოხატავს USAID-ის, ამერიკის მთავრობისა და
აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მოსაზრებებს (EWMI).



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი პათუმის, ქუთაისის და თბილისის საქალაქო და სააკადემიურ სასამართლოები

ანგარიში №7
(აგვისტო, 2014 – იანვარი, 2015)

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალბით, რომელიც აშშის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა განვითარების აღმარჩევის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ აახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



USAID
აერიკალი სალისგან



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLOG)

ავტორთა მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას სასამართლო მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

ავტორი: თიმეთინ ავალიანი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ გვარაშვარი

მონიტორინგის და კვლევის სრულ კვირიკაპა
მომზადების პროცესში თამარ გვარიშვილი
მონაწილეობა მიიღეს საიას რევაზ აჩარაძე
მონიტორებმა: გარიამ მელაძე
პაატა ღიასამიძე



აინტერ და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჭ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადასტურება, გამრავლება ან
გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის
გარეშე

შ ი ნ ა ა რ ს ი

ძირითადი ტენდენციები	5
პირველი წარდგენის სხდომები (აღკვეთის ღონისძიებები) ...	5
წინასასამართლო სხდომები	8
საპროცესო შეთანხმებები	8
დაკვირვების სხვა მნიშვნელოვანი შედეგები	9
 შესავალი	11
მეთოდოლოგია	13
ანგარიშის სტრუქტურა	14
 ა. დაპირვეპის შედეგები საქმის განხილვის ეტაპების მიხედვით	15
I. პირველი წარდგენის სხდომები	15
1.1. ზოგადი ტენდენციები	16
1.2. კონკრეტული აღკვეთის ღონისძიებები	19
1.2.1. გირაო	19
1.2.2. პატიმრობა	28
1.2.3. პირადი თავდებობა	31
1.2.4. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ	32
1.3. საქმეთა განხილვის წინასწარი გამოქვეყნება	33
II. წინასასამართლო სხდომები	35
III. საპროცესო შეთანხმების სხდომები	37
 ბ. დაპირვეპის შედეგები ცალკეული უფლებების მიხედვით	42
I. მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი	42
II. დაცვის უფლება	49

III.	არასათანადო მოპყრობის აკრძალვა	54
IV.	მოტივირებული (დასაბუთებული) გადაწყვეტის უფლება	58
V.	საჯარო განხილვის უფლება	59
გ.	პროცესის მონაწილეთა ქცევა სასამართლო სხდომაზე	63
დ.	სასამართლო პროცესის დროულად გამართვის უზრუნველყოფა	65
	დაკვირვების შედეგების შეჯამება	67
	რეკომენდაციები	70

პირითადი ტენდენციები

პირველი წარდგენის სხდომები (აღკვეთის ღონისძიებები)

- მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით (იანვარი-აგვისტო, 2014):
 - 60%-დან 55%-მდე შემცირდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც პროკურატურა პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა.
 - 37%-დან 42%-მდე გაიზარდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.
 - წინა პერიოდის მსგავსად, კვლავ 52%-ია იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდათ.
 - 11%-დან 9%-მდე შემცირდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც შეეფარდათ ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება და რომელთაც არცერთი აღკვეთის ღონისძიება არ შეფარდებიათ.
- ამ საანგარიშო პერიოდში (აგვისტო, 2014 — იანვარი, 2015) დაფიქსირდა ექვსი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ უკანონოდ ცნო პირის დაკავების ოქმი და იგი სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა. მონიტორინგის დაწყებიდან (2011 წლის ოქტომბერი) პირველად მსგავსი სამი შემთხვევა 2014 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში დაფიქსირდა.
- ამ საანგარიშო პერიოდში (აგვისტო, 2014 — იანვარი, 2015) დაფიქსირდა 6 შემთხვევა, როდესაც, მიუხედავად პროკურორის შუამდგომლობისა, სასამართლომ ბრალდებულები აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა. ამასთან, საიამ მსგავსი შემთხვევა პირველად 2013 წელს დააფიქსირა, როდესაც მოსამართლემ 2 ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გარეშე გაათავისუფლა.
- ასევე დაფიქსირდა 7 შემთხვევა, როდესაც პროკურორებს არ მოუთხოვიათ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ისეთი ბრალდებულების მიმართ, რომლებიც სხვა დანაშაულის გამო უკვე იმყოფებოდნენ პატიმრობა-

ში. აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში, წინა საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, არ დაფიქსირებულა არცერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც პროკურორი არ ითხოვდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას იმ პირის მიმართ, რომელსაც სხვა დანაშაულის გამო უკვე შეფარდებული არ ჰქონდა პატიმრობა. ჯამში 13 (3%) ბრალდებულის საქმე გადაეცა წინასასამართლო განხილვას ისე, რომ მათ არცერთი აღკვეთის ღონისძიება შეფარდებით. ვინაიდან წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ორჯერ შემცირდა იმ ბრალდებულთა რიცხვი, რომელიც აღკვეთის ღონისძიების გარეშე დარჩნენ, საია იმედს იტოვებს, რომ პროკურორები და სასამართლოები არ გადაუხვევენ წინა საანგარიშო პერიოდიდან დაფიქსირებულ ტენდენციას და მომავალშიც, მხოლოდ საჭირო შემთხვევებში მოითხოვენ და გამოიყენებენ რომელიმე აღკვეთის ღონისძიებას. ამასთან, საია იმედოვნებს, რომ, ზოგადად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის შემთხვევებში, პატიმრობის, როგორც აღკვეთის ყველაზე მკაცრი და უკიდურესი ღონისძიების, მოთხოვნა და გამოიყენება მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში მოხდება.

- სასამართლო, ძირითადად, კვლავ ორი სახის აღკვეთის ღონისძიებას – პატიმრობას და გირაოს იყენებდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, მოსამართლეებმა კიდევ უფრო მეტ შემთხვევაში გამოიყენეს აღტერნატიული ღონისძიებები: 2 პირადი თავდებობდა და 23 შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ.
- ბოლო სამი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2013 წლის იანვრიდან) გრძელდება სასამართლოს მხრიდან უფრო მეტად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების ტენდენცია აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ეტაპზე. კერძოდ, სასამართლომ პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებების 96% და გირაოს შესახებ გადაწყვეტილებების 95% დაასაბუთა. წინა საანგარიშო პერიოდში პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებების 93% და გირაოს შესახებ გადაწყვეტილებების 82% იყო დასაბუთებული.
- წინა ორი საანგარიშო პერიოდიდან მოყოლებული კიდევ

ერთი ტენდენცია შეინიშნება – სასამართლო ავტომატურად აღარ აკმაყოფილებს პროკურატურის შუამდგომლობებს და აღკვეთის ღონისძიებას უფრო მეტი განსჯის შედეგად უფარდებს ბრალდებულს:

- შემთხვევების 34%-ში, როდესაც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა, სასამართლომ შეუფარდა გირაო.
- შემთხვევების 3%-ში, როდესაც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა, სასამართლომ ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.
- 1 შემთხვევაში, როდესაც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა, სასამართლომ პირადი თავდებობა გამოიყენა.
- შემთხვევების 73%-ში, როდესაც პროკურატურამ გირაო მოითხოვა, სასამართლომ შეამცირა გირაოს ოდენობა.
- შემთხვევების 9%-ში, როდესაც პროკურატურამ გირაო მოითხოვა, სასამართლომ გამოიყენა შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ.
- შემთხვევების 4%-ში, როდესაც პროკურატურამ გირაო მოითხოვა, სასამართლომ ბრალდებულები დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე.
- პირველი წარდგენის სხდომათა შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნების კუთხით, მონიტორინგის დაწყებიდან მოყოლებული (2011 წლის ოქტომბერი) პირველად დაფიქსირდა დადებითი ცვლილება, როდესაც ბათუმის საქალაქო სასამართლომ პირველი წარდგენის სხდომათა 27%-ის შესახებ ინფორმაცია წინასწარ გამოაქვეყნა სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ მონიტორზე. დანარჩენ შემთხვევებში, სხდომების შესახებ ინფორმაციას სასამართლოს მისაღებში მანდატურები აცხადებდნენ. სამწუხაროდ, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებმა, მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, ვერ უზრუნველყოვეს ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება პირველი წარდგენის სხდომათა საქმეებზე. თუმცა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მისაღებში მანდატურები ვერბალურად აცხადებდნენ პირველი წარდგენის სხდომების შესახებ.

წინასასამართლო სხდომები

- მონიტორინგის ბოლო ორი საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, არ დაფიქსირებულა არცერთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ საქმე არ გადასცა არსებითად განსახილველად და სისხლისსამართლებრივი დევნა წინასასამართლო განხილვის ეტაპზე შეწყვიტა.
- წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, სასამართლოები, ძირითადად, ისევ შემოიფარგლებოდნენ პროცესუალურის შუამდგომლობის დაკამაყოფილებით მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ. რაც შეეხება დაცვის მხარეს, წინა ორ საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ის კიდევ უფრო პასიური ჩანდა. ამ საანგარიშო პერიოდში დაცვამ 213 საქმიდან, საიდანაც არცერთი იყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე, მხოლოდ 43 შემთხვევაში (20%) დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ. წინა საანგარიშო პერიოდში დაცვის აქტიურობა ამ მიმართულებით 23%-ს, მის წინა საანგარიშო პერიოდში კი – 36%-ს შეადგენდა. დაცვა, ძირითადად, კვლავ ეთანხმებოდა ბრალდების მხარის შუამდგომლობებს.

საპროცესო შეთანხმებები

- თავდაპირველ საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, მოსამართლები კიდევ უფრო აქტიურობდნენ საპროცესო შეთანხმების განხილვისას და ავტომატურად აღარ ამტკიცებდნენ ბრალდების მხარის შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე. მონიტორინგის დასაწყისიდან (2011 წლის ოქტომბერი) მეორედ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც საპროცესო შეთანხმების განხილვისას მოსამართლემ დასვა დამატებითი კითხვები, დაინტერესდა, რამდენად სამართლიანი და კანონიერი იყო საპროცესო შეთანხმების პირობები. მას შემდეგ, რაც მოსამართლე ვერ დარწმუნდა 2 საპროცესო შეთანხმების კანონიერებასა და სამართლიანობაში, უარი თქვა მათ დამტკიცებაზე. კიდევ ერთ შემთხვევაში, თავად დაცვის მხარემ განაცხადა უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე, რადგან საპროცესო შეთანხმების ოქმში სრულყოფილად არ იყო ასახული ის პირობები, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ.

- ამის შემდეგ, მოსამართლემ, ბუნებრივია, აღარ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. საია დადებითად აფასებს ამ ცვლილებას და იმედს იტოვებს, რომ მოსამართლები მომავალში კიდევ უფრო აქტიურად შეეცდებიან საპროცესო შეთანხმების სამართლიანობის და კანონიერების დადგენას და მხოლოდ ამის შემდეგ დაამტკიცებენ მას.
- მონიტორინგის ბოლო 4 პერიოდია, ნელ-ზელა მცირდება იმ საპროცესო შეთანხმებების რაოდენობა, სადაც ბრალდებულებს ჯარიმა შეფარდათ. აღნიშნულმა მაჩვენებელმა ბოლო ეტაპზე 41% შეადგინა, მაშინ როდესაც წინა საანგარიშო პერიოდებში ის 69%, 50%, 49% და 44% იყო. მცირედ შემცირდა შეფარდებული ჯარიმების საშუალო ოდენობა და მან 3.538 ლარი შეადგინა.
 - საპროცესო შეთანხმებისას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების შემთხვევები 5%-დან კვლავ 7%-მდე გაიზარდა. ასასიშნავია, რომ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 1%-დან 7%-მდე გაიზარდა, თუმცა შემდგომ პერიოდებში მდგომარეობა არსებითად აღარ შეცვლილა.

დაკვირვების სხვა მნიშვნელოვანი შედეგები

- წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, უცვლელია მდგომარეობა, ზოგადად, დაცვის ეფექტურად განხორციელებასთან დაკავშირებით. დაცვის მხარე, ბრალდებასთან შედარებით, კვლავ პასიურია და მისი გააჭტიურება შეინიშნება მხოლოდ პირველი წარდგენის სხდომებზე.
- დასრულებული 204 საქმიდან (170 – საპროცესო შეთანხმება და 56 – არსებითი განხილვა) ბრალდებული ყველა შემთხვევაში გამტყუნდა. მსგავსი შედეგი 2012 წლის შემდეგ არ დაფიქსირებულა. ბოლო ორ საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 3 გამამტყუნებელი და 1 გამართლებელი განაჩენი.
- მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, მოსამართლეები ბრალდებულებს, სხვა უფლებებთან შედარებით, ბევრად უკეთესად განუმარტავდნენ საპ-

როცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ უფლებებს. ამასთან, კიდევ უფრო გაუმჯობესდა ბრალდებულ-თათვის მათი სხვა უფლებების განმარტების ხარისხიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინასასამართლო სხდომებ-ზე უფლებების განმარტების კუთხით ყველაზე უარესი მდგომარეობაა, სადაც საქმეთა მხოლოდ 19%-ში გან-მარტეს მოსამართლეებმა უფლებები სრულყოფილად.

- ჩხრეკისა და ამოლების ღონისძიებების დაკანონების კუთხით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ვითარე-ბა არსებითად არ შეცვლილა. მონიტორინგის განმავ-ლობაში, ჩხრეკისა და ამოლების შესახებ წარდგენილი 43 შუამდგომლობიდან მხოლოდ 3 შემთხვევაში გასცა სა-სამართლომ წინასწარი ნებართვა ჩხრეკის ჩატარებაზე. დანარჩენ 40 შემთხვევაში კი, სასამართლომ დაკანონა უკვე ჩატარებული ჩხრეკა. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართ-ლო არ ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს – თუ ჩხრეკა და ამოლება არ ემყარება გადაუდებელ აუცილებლობას, ის არ უნდა ჩატარდეს, ან/და შემდეგ არ უნდა დაკანონდეს.
- 2014 წლის იანვრიდან სასამართლომ აღმოფხვრა წაფიც მსაჯულთა სხდომების საჯარობასთან დაკავშირებუ-ლი პრობლემა და მოქალაქეებს მიმდინარე საანგარი-შო პერიოდშიც მიეცათ შესაძლებლობა, უპრობლემოდ დასწრებოდნენ ამ პროცესებს.
- პრობლემურ საკითხად რჩება სასამართლო განხილვებ-ის დროულად დაწყებაც. პირველი წარდგენის სხდომებ-ის გამოკლებით, სხვა დანარჩენი სხდომების 9% 40-დან 120 წუთამდე დაგვიანებით დაიწყო. ჯამში, პროცესების 23% 5 წუთზე მეტი დროის დაგვიანებით დაიწყო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკეთესი შედეგია წინა ორ საანგარი-შო პერიოდთან შედარებით, როდესაც პროცესების 38% და 28% იწყებოდა დაგვიანებით.

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ახორციელებს სასამართლოს მონიტორინგის პროექტს 2011 წლის ოქტომბრიდან. საიამ მონიტორინგის პროექტი თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განახორციელა. 2012 წლის 1 დეკემბერს საიამ გააფართოვა მონიტორინგის ფარგლები და მასში ქუთაისის საქალაქო სასამართლოც ჩართო. 2014 წლის მარტის თვეში კი, მონიტორინგი ბათუმის საქალაქო სასამართლოში დაიწყო. სამივე ქალაქში მონიტორინგის იდენტური მეთოდები იყო გამოყენებული.

საიამ საზოგადოებას და დაინტერესებულ მხარეებს მონიტორინგის პირველი და მეორე ანგარიშები (2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის მარტამდე) 2012 წლის ივნისში წარმოუდგინა. მესამე ანგარიშის პრეზენტაცია 2013 წლის აპრილში ჩატარდა (მოიცავს პერიოდს – 2012 წლის ივლისიდან დეკემბრამდე). მეოთხე ანგარიშის პრეზენტაცია (მოიცავს პერიოდს – 2013 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით) 2013 წლის ოქტომბერში მოხდა. მეხუთე ანგარიში (მოიცავს პერიოდს – 2013 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით) 2014 წლის აპრილში გასაჯაროვდა, მეექვსე ანგარიში (მოიცავს პერიოდს – 2014 წლის იანვრიდან 15 აგვისტოს ჩათვლით) კი – 2014 წლის დეკემბერში. საიამ მონიტორინგის მეექვსე ანგარიშთან ერთად წარმოადგინა მონიტორინგის სამი წლის შედეგების შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელშიც შევიდა ამ ხნის განმავლობაში სასამართლოში დაფიქსირებული პრობლემები, ცვლილებები, ტენდენციები და არსებული გამოწვევები.

ამჯერად წარმოგიდგენთ საიას სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეშვიდე ანგარიშს, რომელიც მოიცავს მონაცემებს 2014 წლის 15 აგვისტოდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით. ანგარიშში აგრეთვე გაეცნობით ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით გამართული სხდომების დაკვირვების შედეგებს. წინა ანგარიშების მსგავსად, სისხლის სამართლის საქმის წარმოების მონიტორინგის მიზანია გამჭვირვალობის გაზრდა, სასამართლო დარბაზებში მიმდინარე რეალური პროცესების ასახვა და საზოგადოებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. ანგარიშს თან ერთვის მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტის შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების მთავარი მიზანი სისხლის სამარ-

თლის სისტემის სრულყოფა-გაუმჯობესების ხელშეწყობაა.

2014 წლის 15 აგვისტოდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდში საიმ 1101 სასამართლო პროცესის მონიტორინგი განახორციელდა. მათ შორისაა:

- 339 – პირველი წარდგენის სხდომა
- 234 – წინასასამართლო სხდომა
- 170 – საპროცესო შეთანხმების სხდომა
- 351 – არსებითი განხილვის სხდომა
- 4 – სააპელაციო განხილვის სხდომა
- 3 – ნაფიცი მსაჯულების შერჩევის სხდომა.

ამ 1101 სხდომიდან 553 თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა, 285 – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, 259 – ბათუმის საქალაქო სასამართლოში და 4 – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. საიმ ცალკე არ განიხილა ნაფიც მსაჯულთა და სააპელაციო განხილვის სხდომები, რადგან ამ პროცესებზე რაიმე განსხვავებული ტენდენცია არ დაფიქსირებულა.

მონიტორინგის წინა ანგარიშში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ დადებითი კუთხით აღნიშნა მოსამართლეთა მიერ გირაოსა და პატიმრობისგან განსხვავებული აღკვეთის ორნისძიებების უფრო ხშირად გამოყენების შემთხვევები და მათი გააქტიურება საპროცესო შეთანხმების განხილვისას. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აღტერნატიული აღკვეთის ორნისძიებების გამოყენების კუთხით მდგომარეობა მცირედ გაუმჯობესდა და ბრალდებულებს უფრო მეტ შემთხვევაში შეეფარდათ აღტერნატიული ორნისძიებები. კიდევ უფრო შემცირდა აღკვეთის ღონისძიების ეტაპზე ცალსახად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების რაოდენობა. რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებების განხილვას, ამ ეტაპზე წინა საანგარიშო პერიოდის შემდეგ მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. მოსამართლეები სვამდნენ კითხვებს და რამდენიმე შემთხვევაში მათ უარი თქვეს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე, რადგან ვერ დარწმუნდნენ მის კანონიერებაში.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშში მოცემული ყველა ინფორმაცია მიღებულია სხდომებზე დასწრების შედეგად. საიას დამკვირვებლები არ ესაუბრებოდნენ მხარეებს და არ განიხილავდნენ საქმის მასალებს ან გადაწყვეტილებებს. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი საიას გამოცდილმა იურისტებმა და ანალიტიკოსებმა განახორციელეს.

გასული მონიტორინგების მსგავსად, საიას დამკვირვებლები იყენებდნენ კითხვარებს, რომლებიც კონკრეტულად მონიტორინგის პროექტისთვის მომზადდა.

მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია და სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან შეფასდა საიას ანალიტიკოსებისა და გამოცდილი იურისტების მიერ.

კითხვარები მოიცავდა როგორც „დახურულ“ კითხვებს, რომლებზე პასუხიც შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ასევე „ლია“ კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებას აძლევდა, ვრცლად აეხსნათ და დაეფიქსირებინათ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდის ანალოგიურად, საიას დამკვირვებლები გარკვეულ შემთხვევებში ანარმობდნენ ჩანაწერებს სასამართლო განხილვებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგრმლობების შესახებ, რაც უფრო მეტ სიცხადეს და კონტექსტს ანიჭებდა მათ მუშაობას. ამ პროცედურის საშუალებით, მონიტორებმა მოახერხეს ობიექტური, გაზომვადი მონაცემების შეგროვება და, იმავდროულად, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირება. ამ ანგარიშის დანართები, შესაძლოა, სრულად არ ასახავდეს ამ, გარკვეულნილად, სუბიექტურ შეფასებებს, თუმცა, საიას დასკვნა მთლიანობაში ეფუძნება მონიტორების მიერ მოპოვებული სრული ინფორმაციის ანალიზს.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების სირთულის გათვალისწინებით, საიას დამკვირვებლები, როგორც წესი, ესწრებოდნენ ინდივიდუალურ სასამართლო პროცესებს და არა საქმის განხილვის ყველა სხდომას. თუმცა, იყო რამდენიმე გამონაკლისი. ე.წ. „გახმაურებულ“ საქმეებს, ასევე საქმეებს, რომლებიც საიას დამკვირვებლების და ანალიტიკოსების მიერ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით განისაზღვრა, საიას მონი-

ტორი, შეძლებისდაგვარად, განხილვის მთელ ეტაპზე დაესწრო. საია აკვირდებოდა იმ საქმეებს, რომლებიც შეირჩა უფლებათა უხეში დარღვევების, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან სხვა განსაკუთრებული ფაქტორის გათვალისწინებით. ასეთ საქმეებს ასოციაცია სააპელაციო სასამართლოშიც აკვირდებოდა.

ანგარიშის სტრუქტურა

წინამდებარე ანგარიში 5 ძირითადი ნაწილისგან შედგება.

პირველი ნაწილი მოიცავს ძირითად დასკვნებს სისხლის სამართლის საქმის ორ ეტაპთან (ბრალდებულის პირველი წარდგენის და წინასასამართლო სხდომები) და ცალკეულ სხდომებთან (საპროცესო შეთანხმების სხდომები) დაკავშირებით.

ანგარიშის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ბრალდებულის ძირითადი უფლებები სამართლარმოების პროცესში. ესენია: მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, დაცვის უფლება, არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, მოტივირებული (დასაბუთებული) გადაწყვეტილების უფლება და საჯარო განხილვის უფლება.

ანგარიშის მესამე ნაწილი ეხება პროცესის მონაწილეთა ქცევას სასამართლოში. ეს ნაწილი მოიცავს მხოლოდ ისეთი სახის დარღვევებს, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგება საპროცესო კანონს ან ეთიურ ნორმებს.

ანგარიშის მეოთხე ნაწილი მოიცავს სასამართლოში პროცესის გამართვასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების მიმოხილვას.

ანგარიშის დასკვნით ნაწილში განხილულია ძირითადი საკითხები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა. აქვე წარმოდგენილია საიას მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც მონიტორინგის მანძილზე გამოვლენილ პრობლემებზე დაყრდნობით მომზადდა.

საია იმედს გამოთქვამს, რომ მონიტორინგის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია შექმნის საქართველოს სასამართლოებში არსებული ვითარების უფრო ნათელ სურათს და პოზიტიურ წვლილს შეიტანს სასამართლო რეფორმის შესახებ მიმდინარე დებატებში.

ა. დაკვირვების შედეგები საქმის განხილვის ეფაკების მიხედვით

I. პირველი წარდგენის სხდომები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 198-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლო განიხილავს საკითხს, თუ რომელი ღონისძიება უნდა იყოს გამოყენებული, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელი არ შეეშალოს გამოიძიებას მანამ, სანამ საქმეზე საბოლოო განაჩენი დადგება. აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს დასაბუთებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენება კანონით დადგენილ მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს.

სასამართლოს შეუძლია სსსკ-ით გათვალისწინებული რამდენიმე აღკვეთის ღონისძიებიდან ერთ-ერთის გამოყენება: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, სარდლობის მიერ სამხედრო მოსამსახურის ქცევის მეთვალყურეობა.

სსსკ-ის 198.3 მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას, პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა და სხვა ნაკლებად მკაფრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების არამართებულობა. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების ტვირთი ბრალდების მხარეს აწევს. დაცვის მხარე არ არის ვალდებული, წარადგინოს მტკიცებულება აღკვეთის ღონისძიების საწინააღმდეგოდ. ამასთან, სსსკ-ის 198.5 მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.

სასამართლოს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული, რადგან საქმის წარმოების ყოველ ეტაპზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილია, რაც

გარანტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით¹ და გამყარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ევროპის სასამართლო) რიგი გადაწყვეტილებებით.²

1.1. ზოგადი ტენდენციები

საანგარიშო პერიოდში საია დააკვირდა 339 პირველი წარდგენის სხდომას (232 – თბილისის საქალაქო სასამართლოში, 48 – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და 59 – ბათუმის საქალაქო სასამართლოში) 401 ბრალდებულის³ მიმართ. მონიტორინგის საწყის პერიოდებთან შედარებით, ზოგადი სურათი მკვეთრად გაუმჯობესებულია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2 წლის წინ სასამართლოში დაწყებული დადებითი ცვლილებები ბოლო უკანასკნელ პერიოდში არსებითად აღარ გაუმჯობესებულა. ამასთან, წინა პერიოდებში არსებული ცალკეული ნეგატიური პრაქტიკა უცვლელი დარჩა.

სასამართლოში 2 წლის წინ დაწყებული დადებითი ცვლილებები გრძელდება აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების მიმართულებით. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სასამართლომ შეცვალა თავისი კომფორმისტული დამოკიდებულება პროკურორატურის მიმართ, როდესაც, რიგ შემთხვევაში, არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით. მომდევნო საანგარიშო პერიოდებში ეს ტენდენცია შენარჩუნდა. ნაცვლად ბრალდების ყველა შუამდგომლობის ავტომატურად დაკმაყოფილებისა, სასამართლოები შედარებით აქტიურები იყვნენ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას და არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ ბრალდების მხარის მოთხოვნით. მოცემულ საანგარიშო პერიოდში, ამ მხრივ, ვითარება კიდევ უფრო გაუმჯობესდა. მოსამართლეები მეტ ძალისხმევას იჩინდნენ პროკურორის შუამდგომლობის საფუძვლებისა და დაცვის პოზიციის გამოსარკვევად. თავის მხრივ, პროკურორებიც ცდილობდნენ, უფრო უკეთ დასაბუთებული შუამდგომლობით მიემართათ სასამართლოსთვის. შესაბამისად, აღკვე-

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 194.2.

² E.g., Hiro Balani v. Spain, no. 18064/91, Para. 27 (9 December 1994).

³ ზოგიერთ პირველი წარდგენის მოსმენაზე ერთზე მეტი ბრალდებული მონაწილეობდა.

თის ღონისძიების შესახებ ცალსახად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების რაოდენობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა.

მართალია, აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ბრალდების მხარემ პატიმრობა საქმეების ნახევარზე მეტში მოითხოვა, თუმცა, ბრალდების მხარის შუამდგომლობები პატიმრობის შესახებ უფრო დასაბუთებული გახდა. პროკურატურის მიერ ნარმოდგენილი გირაოს შუამდგომლობები, პატიმრობასთან შედარებით, ნაკლებ დასაბუთებული ჩანდა, ვინაიდან პროკურატურა ვერ წარმოადგენდა ინფორმაციას ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. თუმცა, აქ თავის დადებით როლს კვლავ სასამართლო ასრულებდა და, ძირითადად, ის თავად ცდილობდა ბრალდებულისაგან ამ ინფორმაციის მოპოვებას. უნდა აღინიშნოს, რომ, თუკი წინა საანგარიშო პერიოდში ამ კუთხით ყველაზე უკეთესი მდგომარეობა თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო ყველაზე უარესი – ბათუმის საქალაქო სასამართლოში იყო, ახლა რეგიონული მოსამართლები უფრო გააქტიურდნენ და აღკვეთის შუამდგომლობის განხილვისას ყველა საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად მეტ ძალისხმევას იჩენდნენ. საია მიესამართება აღნიშნულ ფაქტს და იმედს იტოვებს, რომ რეგიონული სასამართლოები გააგრძელებენ ამ მიმართულებით სვლას.

პირველი წარდგენის სხდომებზე, დაცვის განხორციელების მხრივ, მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა, თუმცა დაცვა უფრო იშვიათად ეთანხმებოდა ბრალდების პოზიციას და ცდილობდა, კონკრეტული არგუმენტებით დაესაბუთებინა თავისი პოზიცია. ამის საპირისპიროდ, სამწუხაროდ, ისევ იყო შემთხვევები, როდესაც დაცვა ფორმალურად ეწინააღმდეგებოდა ბრალდების შუამდგომლობას და თავის სასარგებლოდ არც ერთი დამაჯერებელი არგუმენტი არ მოჰყავდა.

საიამ, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, დააფიქსირა თავდაპირველი პერიოდებისაგან განსხვავებული მდგომარეობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების კუთხით. სასამართლო აღარ იყენებდა მხოლოდ ორი სახის აღკვეთის ღონისძიებას – გირაოსა და პატიმრობას და ბრალდებულებსაც უფრო ხშირად ათავისუფლებდა აღკვეთის ღონისძიების გარეშე. თავის მხრივ, პროკურორების მხრიდანაც გაჩნდა აღტერნატიული აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნისა და, საერთოდ, აღკვეთის ღონისძიების გარეშე წინასასამართლო სხდომის ჩანიშვნის

მოთხოვნის პრეცედენტები. მიუხედავად ამისა, აღკვეთის ალტერნატიული ლონისძიებების გამოყენების შემთხვევები მაინც ძალიან მცირეა და შეფარდებული აღკვეთის ლონისძიებების 90%-ს გირაო და პატიმრობა შეადგენს.

სასამართლომ ბრალდებულთა 39%-ს (156-ს – 401-დან) პატიმრობა, 51%-ს (206-ს – 401-დან) კი გირაო შეუფარდა. მონიტორინგის დროს გამოვლინდა 6 შემთხვევა, როდესაც სასამართლომ, მიუხედავად პროკურორის მოთხოვნისა (3 შემთხვევაში პროკურატურა პატიმრობას, 3 შემთხვევაში კი – გირაოს ითხოვდა), ბრალდებული დატოვა აღკვეთის ლონისძიების გარეშე. ამასთან, მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც თავად ბრალდების მხარემ არ იშუამდგომლა არც ერთი აღკვეთის ლონისძიების გამოყენების თაობაზე და სასამართლოს პირდაპირ წინა სასამართლო სხდომის ჩანიშვნის შუამდგომლობით მიმართა. 401 შემთხვევიდან ბრალდებამ სულ 7 შემთხვევაში არ მოითხოვა აღკვეთის ლონისძიების გამოყენება (აქედან 7-ვე ბრალდებული უკვე მსჯავრდებული იყო სხვა დანაშაულისათვის და იმყოფებოდა პატიმრობაში). ჯამში 13 ბრალდებულს არ შეეფარდა აღკვეთის ლონისძიება.

სასამართლომ შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ 23 (6%) ბრალდებულის მიმართ გამოიყენა, რომელთაგან ექვსს არ ჰყავდა ადვოკატი. აღსანიშნავია, რომ ამ ლონისძიების გამოყენებას ბრალდების მხარე მხოლოდ ერთ შემთხვევაში ითხოვდა. დანარჩენი 22 საქმიდან 20 შემთხვევაში პროკურორი გირაოს და 2 შემთხვევაში – პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით აყენებდა შუამდგომლობას.

საია ზემოხსენებულ შემთხვევებს დადებითად აფასებს და იმედს იტოვებს, რომ პროკურორები და სასამართლოები უფრო ხშირად მოითხოვენ და გამოიყენებენ აღკვეთის ლონისძიების ალტერნატიულ სახეებს, ან, აუცილებლობის არარსებობის შემთხვევაში, საერთოდ არ შეუფარდებენ ბრალდებულს აღკვეთის ლონისძიებას.

401 ბრალდებულიდან მხოლოდ 75 (19%) შემთხვევაში დააყენა დაცვამ გირაოსგან განსხვავებული მოთხოვნა (46 – აღკვეთის ლონისძიების გარეშე დატოვება, 10 – პირადი თავდებობა, 11 – შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ, 8 შემთხვევაში კი – დაცვამ მოითხოვა გირაოზე უფრო მსუბუქი ნებისმიერი აღკვეთის ლონისძიების გამოყენება). ამ 75 მოთხ-

ოვნიდან სასამართლომ 14 (19%) დააკმაყოფილა. მიუხედავად ზემოაღნიშნული შუამდგომლობების მცირე რაოდენობისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გაუმჯობესებული შედეგია წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, სადაც დაცვამ საქმეთა მხოლოდ 4%-ში მოითხოვა გირაოსგან განსხვავებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და სასამართლომ აქედან არცერთი დააკმაყოფილა. საია იმედოვნებს, რომ აღკვეთის უფრო მსუბუქი ალტერნატიული ღონისძიებების მოთხოვნის მიმართულებით დაცვის გააქტიურების ტენდენცია გაგრძელდება. რაც მთავარია, ეს იქნება კარგად დასაბუთებული მოთხოვნა, ნაცვლად ფორმალური შუამდგომლობისა და, შესაბამისად, სასამართლოებიც ყველა შესაძლო შემთხვევაში გამოიყენებენ გირაოსა და პატიმრობისაგან განსხვავებულ აღკვეთის ღონისძიებას.

1.2. კონკრეტული აღკვეთის ღონისძიებები

1.2.1. გირაო

გირაო აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახეა, რომლის გამოყენების მიზანია, ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეეშალოს გამოძიებას. გირაოს შეფარდებისას ბრალდებული იხდის კონკრეტულ თანხას იმის სანაცვლოდ, რომ გათავისუფლდეს საქმეზე საბოლოო განაჩენის დადგომამდე. ბრალდებულს ან პირს, რომელმაც გადაიხადა გირაო მის სასარგებლოდ, გადახდილი თანხა სრულად უბრუნდება (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) ან ქონებას ყადაღა ეხსნება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანიდან ერთი თვის ვადაში იმ მოტივით, რომ ბრალდებულმა მასზე დაკისრებული ვალდებულება შეასრულა ზედმინერვით და გულწრფელად და მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.⁴

გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახეობის, მიმართ ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოთხოვნა. შედე-

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 200.

გად, პროკურორმა უნდა დაასაბუთოს აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობა და სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის, ბრალდებულის პიროვნება, ფინანსური მდგომარეობა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პროკურატურა არ წარადგენს ინფორმაციას ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით. დაცვის მხარე არ არის ვალდებული, აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგინოს, ვინაიდან ბრალდების მხარის მოვალეობაა, დაასაბუთოს მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და პროპორციულობა.⁵

აქედან გამომდინარე, გირაოს მიზანშეწონილობა დამოკიდებულია მისი აუცილებლობის დასაბუთებაზე.

გამოვლენილი შედეგები

ამჟამინდელი სტატისტიკა, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რაც იყო მონიტორინგის თავდაპირველ პერიოდებში. კერძოდ, მოსამართლეები ავტომატურად აღარ აკმაყოფილებენ ბრალდების მხარის შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შესახებ და ბრალდებულს უფრო მეტი განსჯის შედეგად უფარდებენ აღკვეთის ღონისძიებას.

ამ საანგარიშმ პერიოდში, მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, ბრალდებულთა 52%-ს გირაო შეეფარდა. ეს მაჩვენებელი უფრო ნაკლებია მონიტორინგის თითქმის ყველა წინა პერიოდთან შედარებით.⁶ ზოგიერთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდება პატიმრობას მოითხოვდა, სასამართლომ ბრალდებულს გირაო შეუფარდა.


ქვემოთ მოცემული დიაგრამა გამოსახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით).

⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 200.2 მუხლის თანახმად, გირაოს თანხა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით და განსასჯელის ფანანსური მდგომარეობით.

⁶ მონიტორინგის განმავლობაში გირაოს გამოყენების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2011 წლის ბოლო კვარტალში, მონიტორინგის პირველ ეტაპზე გამოვლინდა.

დიაგრამა №1

აღკვეთის გამოყენებული ღონისძიებები




აღნიშნულ პერიოდში გირაო, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოყენებული იყო იმ საქმეების 24%-ში, სადაც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა (223 პირიდან 63 პირის მიმართ). აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშო პერიოდში სასამართლომ ყველაზე ხშირად (34%) გამოიყენა გირაო, პროკურორის მიერ პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში, პროკურორის მიერ პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად, გირაოს გამოყენების შესახებ (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით).

დიაგრამა №2

გირაოს შეფარდება პროკურატურის მიერ პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად




ბოლო საანგარიშო პერიოდში პროკურატურამ ბრალდებულთა 42%-ის მიმართ (401-დან 169 ბრალდებულის მიმართ) გირაოს გამოყენება მოითხოვა. მოთხოვნილი 169 გირაოდან სასამართლომ 143 დააკმაყოფილა. პროკურატურის მიერ გირაოს მოთხოვნათა შემთხვევების 73%-ში (143-დან 105 შემთხვევა) გირაოს სახით შეფარდებული თანხის ოდენობა მოთხოვნილზე ნაკლები იყო, რაც მთელი მონიტორინგის განმავლობაში მსგავსი შემთხვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. შემთხვევების 27%-ში (38 საქმე) შეფარდებული გირაო პროკურორის მიერ მოთხოვნილის იდენტური იყო. 26 შემთხვევაში კი, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მოთხოვნა გირაოს შესახებ, საიდანაც 3 შემთხვევაში ბრალდებული დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე, 2 შემთხვევაში შეუფარდა პირადი თავდებობა, ხოლო 21 შემთხვევაში – შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში, პროკურორის მიერ მოთხოვნილ გირაოზე უფრო ნაკლები ოდენობის გირაოს შეფარდების შესახებ (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით).

დიაგრამა №3

სასამართლომ შეამცირა პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობა



მონიტორინგის პერიოდში გირაოს სახით შეფარდებული მაქსიმალური თანხა შეადგენდა 100.000 ლარს, ხოლო მინიმალური კვლავ – 1.000 ლარს.


მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებით.

გირაოს დაკისრება აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა იყოს პროპორციული და დასაბუთებული. ეს იმას ნიშნავს, რომ გირაო უნდა იყოს პრალდებულის ფინანსური მდგომარეობის, ასევე, სავარაუდო დანაშაულის პროპორციული და დასაბუთებული. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას, უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი გარემოების ანალიზი, რათა მოსამართლე დარწმუნდეს, რომ პრალდებულს აქვს შესაძლებლობა, გადაიხადოს შეფარდებული გირაო. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება შეფარდებული თანხის გადახდა, გირაო უნდა შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით – პატიმრობით. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელი გირაოს შეფარდება, ფაქტობრივად, პირის პატიმრობას შეიძლება უდრიდეს.

აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შესახებ გამოტანილი 206 გადაწყვეტილებიდან, საიას აზრით, 10 გადაწყვეტილება (5%) იყო ცალსახად დაუსაბუთებელი, რაც არის აღკვეთის ღონისძიების გადაწყვეტილებების უკეთდასაბუთების ტენდენციის გაგრძელება, რომელიც სასამართლოში 2012 წლიდან შეინიშნება. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს შედეგებს მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით).

დიაგრამა №4

დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება გირაოს შესახებ



საია მიიჩნევს, რომ გირაოს დაუსაბუთებელია, როდესაც:

- მოსამართლები გირაოს შეფარდების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების გადაწყვეტილებას იღებენ პროკურატურის მხრიდან სათანადო დასაბუთების წარდგენის გარეშე, რაც უნდა ეფუძნებოდეს წარდგენილ ბრალს, ბრალდებულის პიროვნებას, მის ფინანსურ მდგომარეობას და საქმის-ათვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებს. მოსამართლეთა მხრიდან ამ გარემოებების გამოურკვევლობა კიდევ უფრო საზიანოა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს არ ჰყავს ადვოკატი.
- ბრალდების მხარის მოთხოვნის მიუხედავად, პატიმრობის ნაცვლად გირაოს დაკისრების შემთხვევებში, მოსამართლებს არ გამოუკვლევიათ ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა.

ქვემოთ მოყვანილია დაუსაბუთებელი გირაოს მაგალითები:

- პირს ბრალი ედებოდა ყოფილი მეულლისათვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში. კერძოდ, კონფლიქტის ნიადაგზე, ბრალდებულმა დაზარალებულს თავში ყვავილების ლარნაკი ჩაარტყა. პირველი წარდგენის სხდომამდე ბრალდებული იყო დაკავებული გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში. პროკურორმა აღკვეთის ღონისძიებადაც პატიმრობის გამოყენება მოითხოვა და საქმაოდ კარგად გაამყარა თავისი შუამდგომლობა. პროცესიდან გაირკვა, რომ კონფლიქტის გამოსაპატრულო პოლიცია ადრეც რამდენჯერმე იყო გამოძახებული. ირკვეოდა, რომ მიზეზი, რის გამოც დანაშაული მოხდა, კვლავაც არ იყო აღმოფხვრილი. ამასთან, ბრალდებულმა საპატიმრო დაწესებულებიდან დაურეკა თავის და დაზარალებულის საერთო შვილს და დედის მოკვლით დაემუქრა იმ შემთხვევაში, თუკი ყოფილი ცოლი არ დატოვებდა ბრალდებულის ბინას. ამ ყველაფრის საპასუხოდ, დაცვამ განაცხადა, რომ ბრალდებული იყო ბიზნესმენი, არ იყო წარსულში ნასამართლევი, ის თანამშრომლობდა გამოძიებასთან და მზად იყო, აენაზღაურებინა დაზარალებულის მკურნალობის ხარჯები, ამასთან, დაზარალებულმა უბრალოდ გაიქნია

ლარნაკი და ის სრულიად შემთხვევით მოხვდა დაზარა-ლებულს თავში. ამ ყველაფერზე დაყრდნობით, დაცვამ მოითხოვა გირაოს გამოყენება 5000 ლარის ოდენობით. პროცესზე მოსამართლემ დამატებით გამოარკვია, რომ გარდა თავისი ბიზნესისა, ბრალდებული ყოველთვი-ურად მოსკოვიდან დამატებით იღებდა 700 დოლარს, ამასთან, დანაზოგი ჰქონდა 18000 დოლარის ოდენობით. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად არსებობდა დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების საფრთხე, რაც პატიმრობის გამოყენების საფუძველია, მოსამართლემ ბრალდებულს შეუფარდა გირაო 5000 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, აღნიშნულ თანხას, ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, ვერ ექნებოდა შემაკავებელი ეფექ-ტი. ეს საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2014 წელს ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის გახშირე-ბული ფაქტების ფონზე, რასაც, ხშირ შემთხვევაში, სახ-ელმწიფოს გულგრილობის ან არასათანადო რეაგირე-ბის გამო, მათი გარდაცვალება მოჰყვა. ზემოხსენებული გადაწყვეტილებით მოსამართლემ რეალური საფრთხე შეუქმნა კიდევ ერთი ქალის სიცოცხლესა და ჯანმრთ-ელობას, რომელიც ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი გახდა.

- პირს ბრალი ედებოდა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებაში, ექიმის დანიშნულების გარეშე, რაც ნაკლებად მძიმე დანაშაულს ნარმოადგენს და სას-ჯელად ითვალისწინებს ჯარიმას, საზოგადოებისათვის სასარგებლობრივო შრომას ან თავისუფლების აღკვეთას – ვა-დით ერთ წლამდე. პროკურორი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას მოითხოვდა და პე-ლირებდა პირის ნასამართლობაზე. დაცვამ აღნიშნა, რომ ვინაიდან პირს ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდა, მის მიმართ პატიმრობის შუამდგომლობის დაყენება აბსოლუტურად დაუსაბუთებელი იყო. შეს-აბამისად, მოითხოვა სათანადო ქცევისა და გაუსვლე-ლობის შესახებ შეთანხმების გამოყენება. მიუხედავად ალტერნატიული ღონისძიების არჩევის რეალური შესა-ძლებლობისა, მოსამართლემ ბრალდებულს შეუფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით, ამასთან, არ გამოიკვლია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა.

- პირს ბრალი ედებოდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების შეძენა-შენახვაში, რაც ნაკლებად მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. პროკურორი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ითხოვდა პატიმრობის გამოყენებას. დაცვამ აღნიშნა, რომ ბრალდებული იყო სპორტსმენი, არ იყო წარსულში ნასამართლევი და არც წარკოტიკზე დამოკიდებული პირი, მას ჰყავდა სიმსივნით დაავადებული დედა და ინანიებდა თავის დანაშაულს. დაცვამ მოითხოვა ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება და 2000 ლარის ოდენობით გირაოს გამოყენება. მოსამართლეს არ გამოუკვლევია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა, ისე დააკისრა გირაო 5000 ლარის ოდენობით.
- პირს ბრალი ედებოდა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებაში, ექიმის დანიშნულების გარეშე, რაც ნაკლებად მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. პროკურორი ითხოვდა გირაოს გამოყენებას 3000 ლარის ოდენობით, მის გადახდამდე კი – პირის პატიმრობაში დატოვებას. ბრალდებას თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად არც ერთი რეალური არგუმენტი არ წარმოუდგენია და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმალურ საფუძვლებს იმველიებდა. ამაზე დაყრდნობით, დაცვა მოითხოვდა ბრალდებულის დატოვებას აღკვეთის ღონისძიების გარეშე. ამასთან, ბრალდებული მიეკუთვნებოდა სოციალურად დაუცველთა რიცხვს, მის ოჯახს არჩენდა მხოლოდ ონკოლოგიურად დაავადებული დედა. ბრალდებულს ჰყავდა 3 და, მათ შორის ერთი მცირენლოვანი. მიუხედავად ამ გარემოებებისა, მოსამართლემ ბრალდებულ დააკისრა 3000 ლარის ოდენობით გირაოს გადახდა, რისი შესაძლებლობაც მის ოჯახს რეალურად არ გააჩნდა. შესაბამისად, დიდი ალბათობით, ბრალდებული პატიმრობაში დარჩებოდა.

ამის საპირისპიროდ, დაფიქსირდა ექვსი დადებითი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ უკანონოდ ცნო პირის დაკავების ოქმი, გაათავისუფლა ბრალდებული სხდომის დარბაზიდან და შეუფარდა გირაო მაშინ, როდესაც პროკურატურა მის პატიმრობაში დატოვებას ითხოვდა. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი შემთხვევები მონიტორინგის დასაწყისიდან (2011 წლის ოქტომბერი)

მეორედ დაფიქსირდა. საია მიესალმება მსგავს პრეცედენტებს და იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში მოსამართლეები უფრო ხშირად გამოიყენებენ ამ შესაძლებლობას, შესაბამისად, ბრალ-დებულს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში დატოვებენ პატიმ-რობაში.

პირველ შემთხვევაში, სამ პირს ბრალად ედებოდა რამდენიმე მძიმე კატეგორიის დანაშაული. პროკურორი მათ მიმართ პატიმ-რობის გამოყენებას მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, პროცესზე ნათელი გახდა, რომ დარღვეული იყო ბრალდებულთა დაკავე-ბის პროცესუალური ნორმები. კერძოდ, დაკავების რეალური დრო და დაკავების ოქმში ასახული დრო არ ემთხვეოდა ერთ-მანეთს, რითაც დარღვეული იყო დაკავების 72 საათიანი ვადა. დაცვა ბრალდებულთა აღკვეთის ლონისძიების გარეშე დატოვე-ბას ითხოვდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლემ სრულყოფილად განახორციელა თავისი მოვალეობა და ბრალ-დებულები უკანონო პატიმრობიდან გაათავისუფლა. თუმცა, ვინაიდან არსებობდა აღკვეთის ლონისძიების გამოყენების სა-ფუძვლები, მათ შეუფარდა გირაო და სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

მეორე შემთხვევაში, სოციალურად დაუცველ პირს ბრალი ედებოდა ქურდობაში. ის აღიარებდა დანაშაულს და თანამშ-რომლობდა გამოძიებასთან. დანაშაული ნაკლებად მძიმე კატ-ეგორიის იყო. პროკურორმა მოითხოვა 5000 ლარის გირაოს გამოყენება, რომლის გადახდამდეც პირი პატიმრობაში უნდა დარჩენილიყო, ვინაიდან საქმეში არსებული ოპერატიული ინ-ფორმაციის მიხედვით, ბრალდებული მიმალვას აპირებდა. დაც-ვამ მოითხოვა 2000 ლარის ოდენობის გირაო. მოსამართლემ გა-ნაცხადა, რომ საქმეში „ჩაგდებული“ ოპერატიული ინფორმაცია იყო „ზედმეტი მაკულატურა“. მან პირის დაკავება ცნო უკანონ-ოდ, შეუფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით და გაათავისუფ-ლა სხდომის დარბაზიდან.

მესამე შემთხვევაში, სადაც პირს ბრალი ედებოდა ტრანს-პორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევაში, აგრეთვე დარღვეული იყო პროცესუალური ნორმები. კერძოდ, შემთხვევის ადგილას დამონტაჟებული ვიდეოს დათვალიერე-ბის ოქმი არ ემთხვეოდა რეალურ ვიდეოჩანანერს. ადვოკატის განმარტებით, ვიდეოჩანანერში, ცუდი ხარისხის გამო, არაფერი ჩანდა, მაშინ როდესაც დათვალიერების ოქმში ავტოსაგზაო შემთხვევა დეტალურად იყო აღნერილი. ადვოკატის განცხა-

დებით, ამ ხარვეზზე მითითების შემდეგ პროკურორმა მას განუცხადა, რომ შესაძლოა ვიდეოს ხარისხი გაფუჭდა, მაგრამ მათ იცოდნენ, რაც მოხდა და ის ჩაწერეს ოქმში. გამომდინარე აქედან, ვიდეოდათვალიერების ოქმი მთლიანად დაზარალებულის ჩვენებაზე იყო აწყობილი და არა – ვიდეოჩანაწერზე. ამის საფუძველზე, მოსამართლემ უკანონოდ ცნო პირის დაკავების ოქმი, არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა პატიმრობის გამოყენებაზე და პირს გირაო შეუფარდა.

გირაოს გამოყენების დადებითი მაგალითი

პირს ბრალი ედებოდა ქურდობაში. ის დაკავებული იყო გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში და აღკვეთის ღონისძიების სახით პროკურატურა მის მიმართ პატიმრობის გამოყენებას მოითხოვდა. მოსამართლის შეკითხვაზე, თუ რატომ არ მიმართა პროკურატურამ სასამართლოს პირის დაკავებაზე ნებართვის მისაღებად, პროკურორმა უპასუხა, რომ მათ წინასწარ იცოდნენ, რომ სასამართლო არ დააკმაყოფილებდა მსგავს შუამდგომლობას. ამ განცხადების შემდეგ, მოსამართლემ უკანონოდ ცნო პირის დაკავება, შეუფარდა მას გირაო და დაუყოვნებლივ გაათავისუფლა სხდომათა დარბაზიდან.

1.2.2. პატიმრობა

პატიმრობა წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების აღნიშვნული ზომის გამოყენება, ბრალის საბოლოოდ დამტკიცებამდე, პიროვნების თავისუფლების უფლებასთან კავშირში უნდა განიხილებოდეს, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა.

თავისუფლების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით,⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით⁸ და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.⁹

⁷ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები.

⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 5.1.

⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 205.(1).

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების თანახმად, ბრალდებულის დაპატიმრების საფუძველი, ბრალის საბოლოოდ დამტკიცებამდე, არის: ა) პირის მიმალვის საფრთხე; ბ) მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელშეშლის საფრთხე; გ) ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება. პატიმრობის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებები არაეფექტურია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის¹⁰ და ეროვნული საპროცესო კანონმდებლობის¹¹ თანახმად, სასამართლო ვალდებულია, მხარეთა შუამდგომლობის შემთხვევაში, პატიმრობის კანონიერება პერიოდულად გადასინჯოს, ხოლო ასეთი შუამდგომლობის განხილვაზე უარი თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ჭრილში განიხილება.

გამოვლენილი შედეგები

გაუმჯობესებული მდგომარეობა დაფიქსირდა ამ პერიოდში პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, გამოყენების მიმართულებით. მართალია, წინა საანგარიშმ პერიოდთან შედარებით, პროკურატურა უფრო ხშირად ითხოვდა პატიმრობის შეფარდებას, თუმცა, ბრალდების მხარის შუამდგომლობები პატიმრობის თაობაზე უფრო მეტად იყო დასაბუთებული. ამასთან, როცა ბრალდების მხარის შუამდგომლობა პატიმრობის შეფარდების თაობაზე არ იყო დასაბუთებული, სასამართლო უფრო იშვიათად აკმაყოფილებდა მას.¹²

პირველ განხილვაზე წარმოდგენილი 401 ბრალდებულიდან პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა 223 შემთხვევაში (56%). აქედან სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა 156 შემთხვევაში (70%) დააკმაყოფილა. ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა ასახავს ამ მიმართულებით მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ შედეგებს (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით):


¹⁰ *Jēcius v. Lithuania; The Right to Liberty and Security of the Person, A Guide to the Implementation of Article 5 of the European Convention on Human Rights, Monica Macovei, Human Rights Handbooks, No.5, Council of Europe, p.60-61.*

¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 206.

¹² 2011 წლის ოქტომბრიდან, როდესაც საიამ დაიწყო სასამართლო სხდომების დაკვირვება, 2012 წლის ოქტომბრიდან მსგანი შემთხვევა, როცა სასამართლო არ დაეთანხმა პროკურატურის შუამდგომლობას პატიმრობის შეფარდების შესახებ, საიას არ დაუფიქსირებია.


დიაგრამა №5

პროცურატურის მიერ მოთხოვნილი პატიმრობა



დიაგრამა №6


სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული პატიმრობის შუამდგომლობები



პატიმრობის შეფარდების 156 შემთხვევიდან, საიამ ხუთი (3%) მიიჩნია ცალსახად დაუსაბუთებლად, როდესაც პროცურატურას არ ჰქონდა საკმარისი არგუმენტები პატიმრობის შეფარდებისთვის და მხოლოდ დანაშაულის სიმძიმეს იყენებდნენ თავიანთი პოზიციის დასასაბუთებლად. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელ პერიოდის შედეგებს:

დიაგრამა №7

დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები პატიმრობის შესახებ



დაუსაბუთებელი პატიმრობის მაგალითი

პირს პრალი ედებიდა ქურდიბაში, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება. მის ნასამართლობაზე დაყრდნობით, პროკურორი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. პროცესზე გაირკვა, რომ ბრალდებულის ნასამართლობა გაქარწყლებული იყო, რის შესახებაც პროკურორს ინფორმაცია არ ჰქონდა. დაცვამ პროცესზე აგრეთვე აღნიშნა, რომ ბრალდებულს ჰყავდა 18 დღისა და 8 წლის გოვონები, მულლება და სიდედრი, რომლების მის კმაყოფაზე იყვნენ და, ამასთან, ცხოვრობდნენ ქირით. ბრალდებულმა მოითხოვა გირაოს გამოყენება 1500-დან 2000 ლარამდე ოდენობით. სასამართლომ ბრალდებულს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, პატიმრობა შეუფარდა, მაშინ როდესაც, თუნდაც უფრო დიდი ოდენობით გირაო სავსებით შემაკავებელი ხასიათის ღონისძიება იქნებოდა.

1.2.3. პირადი თავდებობა

პირადი თავდებობის გამოყენებისას, სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებას.

მონიტორინგის მიმდინარეობის პერიოდში გამართულ პირველი წარდგენის სხდომებზე დაცვის მხრიდან პირადი თავდებობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, შეთავაზება დაფიქსირდა 401-დან 10 ბრალდებულთან მიმართებით. აღნიშნული 10 შე-თავაზებიდან მოსამართლემ ორი დააკმაყოფილა.

სასამართლოს პირადი თავდებობა სხვა საქმეებში არ გამოყენებითა. აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშო პერიოდში პირადი თავდებობის გამოყენება ერთ საქმეში თავად პროკურორმა ითხოვა, რაც პირველი შემთხვევა იყო მთელი მონიტორინგის (2011 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის აგვისტომდე) განმავლობაში. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მსგავსი შემთხვევა აღარ დაფიქსირებულა.

1.2.4. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ

შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებული იყოს აღკვეთის ღონისძიების სახით, თუ პირს ბრალად ედება დანაშაული, რომელიც არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტი ვალით.¹³ მონიტორინგის პერიოდში, კანონმდებლობიდან გამომდინარე, 85 ბრალდებულის მიმართ შესაძლებელი იყო ამ სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება. აღნიშნული 85 შემთხვევიდან სასამართლომ 23 შემთხვევაში მიიჩნია მიზანშეწონილად ამ ღონისძიების გამოყენება. ეს იგივე მაჩვენებელია, რაც ბოლო საანგარიშო პერიოდში, თუმცა სხვა დანარჩენ საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, აღნიშნული შედეგი გაუმჯობესებულია. საია იმედოვნებს, რომ სასამართლოები მომავალში კიდევ უფრო ხშირად გამოიყენებენ ამ ღონისძიებას ყველა შესაბამის შემთხვევაში.

დანარჩენი 62 შემთხვევიდან 6 ბრალდებული სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების გარეშე გაათავისუფლა. 56 ბრალდებულის მიმართ კი, სამწუხაროდ, მოსამართლეს არ უცდია, ემსჯელა ალტერნატიული ღონისძიების შეფარდების შესაძლებლობაზე, შესაბამისად, გამოიყენა გირაო და პატიმრობა.

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 202.

ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების დადებითი მაგალითები

ოთხ მსგავს საქმეში პირებს ბრალი ედებოდათ ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში (სსკ 273-ე მუხლი). პროცესურატურა ოთხივე შემთხვევაში, დასაბუთების გარეშე, ითხოვდა გირაოს გამოყენებას, დაცვა კი – თანხის შემცირებასა და შეტანის ვადის გაზრდას. აღნიშნულ საქმეებში მოსამართლემ სრულყოფილად განახორციელა თავისი მოვალეობა და ბრალდებულებს შეუფარდა უფრო მსუბუქი სახის პროპორციული ღონისძიება – შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ.

1.3. საქმეთა განხილვის წინასწარი გამოქვეყნება

პირველი წარდგენის სხდომათა მონიტორინგმა ასევე დაადასტურა არსებული პროცედურული პრობლემები, რომელიც ბრალდებულ ართმევს საჯარო განხილვის უფლებას, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით,¹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით¹⁵ და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.¹⁶

იმისათვის, რომ ეს უფლება ეფექტურად გამოიყენებოდეს, საკმარისი არ არის, საზოგადოებას მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე დასწრების უფლება ჰქონდეს. საზოგადოებას ასევე აქვს უფლება, წინასწარ იყოს ინფორმირებული საქმის მოსმენის შესახებ, რათა შეძლოს სხდომაზე დასწრება. აქედან გამომდინარე, საჯარო განხილვის უფლება სასამართლოს ავალდებულებს, წინასწარ გამოაქვეყნონ პირველი მოსმენის დრო და ადგილი, ბრალდებულის სრული სახელი და გვარი, ასევე, მუხლები, რომლითაც ბრალი აქვს წაყენებული.

¹⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85.

¹⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 6.1.

¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 10.

გამოვლენილი შედეგები:

იმ 339 პირველი წარდგენის სხდომიდან, რომელთა მონიტორ-ინგსაც საია ახორციელებდა, პირველად მონიტორინგის დაწყებიდან (2011 წლის ოქტომბრიდან), 20 შემთხვევაში ინფორ-მაცია წინასწარ გამოქვეყნდა სასამართლოს მისაღებში. აღ-სანიშნავია, რომ ყველა ეს შემთხვევა დაფიქსირდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. რაც შეეხება თბილისისა და ქუთაი-სის საქალაქო სასამართლოებს, სამწუხაროდ, აქ მდგომარეობა უცვლელია. მართალია, სხდომების წანილზე, ბათუმისა და ქუთაისის სასამართლოს ფოიები, მანდატურები წინასწარ აცხა-დებდნენ სხდომის გამართვის დროსა და ადგილს, თუმცა აღ-ნიშნული არ წარმოადგენს სხდომის საჯაროობის უზრუნველყ-ოფის სათანადო ღონისძიებას.

პირველი წარდგენის სხდომათა შესახებ ინფორმაციის გამოუ-ქვეყნებლობის პრობლემა, 2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლე-ბული, ანუ მას შემდეგ, რაც მონიტორინგის განხორციელება დაიწყო, საიას ყველა ანგარიშში აისახა. ამ დრომდე სასამართლო სისტემის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ამის მიზეზი ტექნიკური შეზღუდვები იყო, რაც უკავშირდებოდა პირველი წარდგენის სხდომების ჩატარებას ბრალდებულის დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში. ამასთან, გამოთქვამდნენ მზადყოფ-ნას აღნიშნული ტექნიკური პრობლემების მოგვარების კუთხით. ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადებითი მაგალითი ცხადყ-ოფს, რომ პირველი წარდგენის სხდომების შესახებ ინფორმაცი-ის წინასწარ გამოქვეყნება, სათანადო ძალისხმევის გამოჩენის შემთხვევაში, ტექნიკურად შესაძლებელია. საია მიესალმება ბათუმის საქალაქო სასამართლოში დაწყებულ ცვლილებას და იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს მომავალში თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებიც გაიზიარებენ ამ პრაქტი-კას და პირველი წარდგენის სხდომების ეტაპზე აღმოფხვრიან საჯარო განხილვის უფლების დარღვევის ფაქტებს.

II. წინასასამართლო სხდომები

წინასასამართლო სხდომაზე სასამართლო არკვევს იმ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, რომელიც ძირითად სხდომაზე განიხილება. ეს ეტაპი უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგანაც მხოლოდ დასაშვებ მტკიცებულებაზე დაყრდნობით გამოაქვს მოსამართლეს განაჩენი საქმის არსებითი განხილვის შედეგად. გარდა ამისა, ამ ეტაპზევე მიიღება გადაწყვეტილება, სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდეს, თუ საქმის განხილვა არსებითად გაგრძელდეს.¹⁷

სასამართლოს გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის მიმართ უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი ორივე მხარის მიმართ. ბრალდებულის უფლებას მიუკერძოებელ სამართალნარმოებაზე აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სხდომები, როგორც წესი, ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობას, მხარეებს ასევე შეუძლიათ, დააყენონ სხვა შუამდგომლობებიც.

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიას არ დაუფიქსირებია არცერთი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ წინასასამართლო განხილვის ეტაპზე შეწყვიტა სისხლისამართლებრივი დევნა.

მონიტორინგის მიმდინარე პერიოდის დაკვირვების შედეგების მიხედვით, წინა პერიოდთან შედარებით დაცვა კიდევ უფრო პასიური ჩანდა ბრალდებასთან შედარებით. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დაცვის წინააღმდეგობა პროკურორის შუამდგომლობებზე 23%-დან 6%-მდე შემცირდა. დაცვის აქტიურობის მაჩვენებლის შემცირება საკმაოდ თვალშისაცემია და, საიას მოსაზრებით, ადვოკატთა კორპუსმა ამ საკითხს სა-

¹⁷ სასამართლომ უნდა შეწყვიტოს სისხლისამართლებრივი დევნა, თუ ის მაღალი ალბათობით დაადგენს, რომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დაინდება ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა.

თანადო ყურადღება უნდა დაუთმოს, რადგან, საბოლოო ჯამში, ეს ბრალდებულის ინტერესებს აზარალებს. სხვა მხრივ, მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. სასამართლო ამჯერადაც, ძირითადად, ეთანხმება ბრალდების მხარის შუამდგომლობას წარდგენილი მტკიცებულებების დაშვების შესახებ, ხოლო დაცვა ეთანხმება ბრალდების მხარის შუამდგომლობებს.

წინასასამართლო სხდომებზე დაკვირვების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი საინტერესო ტენდენციები:

- 234 წინასასამართლო სხდომიდან 14 გადაიდო, ერთი სხდომა დაიხურა, 3 კი გადადებული სხდომა იყო. დარჩენილ 216 შემთხვევაში, პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობები მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ. აქედან 2 სხდომა გადაიდო მანამ, სანამ მოსამართლე გადაწყვეტილებას მიიღებდა. დანარჩენი 214 საქმიდან სასამართლომ 210 შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილა ბრალდების მხარის ყველა შუამდგომლობა წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ, 4 შემთხვევაში კი – ნაწილობრივ.
- პროკურატურის 216 შუამდგომლობიდან 14-ს დაცვა არ დაეთანხმა. აღნიშნული 14 პროტესტიდან სასამართლომ 12-ის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა, ორ შემთხვევაში კი, სხდომა გადაიდო მანამ, სანამ მოსამართლე გადაწყვეტილებას მიიღებდა.
- დაცვამ მტკიცებულებათა წარდგენის თაობაზე შუამდგომლობა დააყენა 213-დან მხოლოდ 43 შემთხვევაში (20%).¹⁸ 43-დან 31 შემთხვევაში პროკურატურა დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობებს და სასამართლომ დააკმაყოფილა ისინი. დანარჩენი 12 შუამდგომლობიდან სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა 8 მათგანი, ნაწილობრივ დააკმაყოფილა 1 და უარი თქვა 3 შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

¹⁸ 234 სხდომიდან 17 გადაიდო მანამ, სანამ დაცვა დააყენებდა შუამდგომლობას მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, 3 სხდომა იყო გადადებული და მონიტორის დასწრების ეტაპზე უცნობი იყო, დაცვამ დააყენა თუ არა მსგავსი შუამდგომლობა წინა სხდომაზე, 1 სხდომა კი დაიხურა.

III. საპროცესო შეთანხმების სხდომები

საპროცესო შეთანხმება სამართალწარმოების დაჩქარებული სახეა, სადაც დაცვასა და ბრალდებას შორის ფორმდება შეთანხმება ბრალსა ან სასჯელზე, ბრალის აღიარებით, ან მის გარეშე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის თანახმად, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებებია წარდგენილი და, თუკი მოსამართლე მიიღებს დამარწმუნებელ პასუხებს, რომ პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, მას გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.

იმისათვის, რომ უზრუნველყოს სასჯელის სამართლიანობა, მოსამართლე უნდა განიხილოს არსებული გარემოებები, ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები, დანაშაულის ჩადენის გარემოებები და შეთანხმებული სასჯელი. კანონი არ აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს სასჯელის სამართლიანობის უზრუნველყოფა. თუმცა, სასჯელის შეფარდების ზოგადი პრინციპების თანახმად, მაგალითად, ჯარიმის შეფარდებისას, მოსამართლეს შეუძლია გამოარკვიოს: როგორია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა; შეუძლია თუ არა მას ჯარიმის გადახდა; არის თუ არა ჯარიმის თანხა მიყენებული ზიანის შესაბამისი; გარემოებები, რომლებშიც დანაშაული იქნა ჩადენილი და მოსალოდნელი სასჯელის ზომა. გარდა ამისა, მოსამართლეს შეუძლია, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, ცვლილებები შეიტანოს საპროცესო შეთანხმებაში. კერძოდ, კანონის თანახმად, თუკი მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს, ან დაადგენს, რომ საპროცესო შეთანხმება არ აქმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვა მოთხოვნებს, მოსამართლეს შეუძლია, მხარეებს შესთავაზოს, სხდომის მიმდინარეობისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რასაც თან უნდა დაერთოს ზემდგომი პროკურორის თანხმობა. იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლოს საპროცესო შეთანხმების შეცვლილი პირობებიც არ აქმაყოფილებს, ის უარს ამბობს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე.

ეს ანიჭებს მოსამართლეს შეზღუდულ, მაგრამ გარკვეულ ბერ-კეტს, ზეგავლენა მოახდინოს სასჯელის სამართლიანობაზე.

გამოვლენილი შედეგები:


მონიტორინგის წინა პერიოდებისგან განსხვავებით, ბოლო საან-გარიშმ პერიოდის გამოკლებით, მიმდინარე საანგარიშმ პერი-ოდში, საპროცესო შეთანხმების განხილვისას, სასამართლო უფრო გააქტიურდა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. მაშინ, როდესაც წინა საანგარიშმ პერიოდებში საკითხის განხილვისას მოსამართლე იზღუდებოდა მისი საქმიანობის პროცედურული ვალდებულებებით და ბრალდებულისთვის ფორმალური კითხ-ვის დასმით იმის შესახებ, ეთანხმებოდა თუ არა იგი საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, აღნიშნულ საანგარიშმ პერიოდში მოსამართლემ საერთოდ უარი თქვა ორი საპროცესო შეთანხ-მების დამტკიცებაზე, რადგან მისი პირობები არასამართლი-ანად და უკანონოდ მიიჩნია. გარდა ამისა, ერთ სხდომაზე მო-სამართლემ დასვა კითხვები და შეეცადა გამოერკვია, რამდენად სამართლიანი იყო შეთანხმებული სასჯელი. კიდევ ერთ საქმე-ში მოსამართლე შეეცადა საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლას და შესვენება გამოაცხადა, თუმცა, პროკურორთან შეთანხმება ვერ მოხერხდა და პირობები უცვლელი დარჩა. ერთ შემთხვევაში, მოსამართლემ პროკურორს შეამცირებინა ბრალ-დებულისათვის მართვის უფლების ჩამორთმევის ვადა, რადგან, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეთანხმებით გათვალ-ისწინებული სასჯელი არაპროპორციულად მიიჩნია. 2 სხვა საპ-როცესო შეთანხმებაში მოსამართლემ შეიტანა ტექნიკური კო-რეტივები და გამოსწორა სამართლებრივი ხარვეზები.

204 სხდომიდან, სადაც სასამართლომ შემაჯამებელი გად-აწყვეტილება მიიღო, 170 სხდომაზე (83%) საპროცესო შეთანხ-მება გაფორმდა.

წინა პერიოდთან შედარებით, კიდევ უფრო შემცირდა იმ საპ-როცესო შეთანხმებების პროცენტული წილი, როდესაც ბრალ-დებულს ჯარიმა დაეკისრა. ეს არის იმ ტენდენციის გაფრძელე-ბა, რომელიც საის მიერ ამ საკითხზე დაკვირვების დაწყებიდან მოყოლებული ფიქსირდება. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის იმ პერიოდების მანძილზე, როდესაც საია აკვირდებოდა ჯარიმების გამოყენების სიხშირეს (2012 წლის ივლისიდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით).

დიაგრამა №8


საპროცესო შეთანხმებები სადაც ჯარიმა იქნა გამოყენებული



რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო ოდენობას, მიუხედავად წინა საანგარიშო პერიოდებში ამ მაჩვენებლის შემცირების ტენდენციისა, ბოლო საანგარიშო პერიოდში ის კვლავ გაიზარდა. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კი ეს მაჩვენებელი კვლავ შემცირდა. კერძოდ, 78 საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ჯარიმის დაკისრებით, რამაც ჯამში 276.000 ლარი შეადგინა (საშუალოდ, თითოეულ საპროცესო შეთანხმებაზე 3.538 ლარი). ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის იმ პერიოდების მანძილზე, როდესაც საია აკვირდებოდა ამ მაჩვენებლების (კვალებადობას (2012 წლის ივლისიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით).

დიაგრამა №9

საპროცესო შეთანხმებებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო ოდენობა ლარში




მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში ჯარიმების ოდენობა, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, 1.000-დან 30.000 ლარამდე მერყეობდა.

ამ საანგარიშო პერიოდში საპროცესო შეთანხმებებში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელმა 5%-დან კვლავ 7%-მდე მოიმატა. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მესამე საანგარიშო პერიოდში (ივლისი-დეკემბერი, 2012) ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1%-ს შეადგინდა. 1%-დან 7%-მდე გაიზარდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი მეოთხე საანგარიშო პერიოდში (იანვარი-ივნისი, 2013), თუმცა, ამის შემდეგ მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის იმ პერიოდების მანძილზე, როდესაც საია აკვირდებოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების სიხშირეს საპროცესო შეთანხმებებში (2012 წლის ივლისიდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით).

დიაგრამა №10

საპროცესო შეთანხმებები სადაც საზოგადოებრივად
სასარგებლო შრომა იქნა გამოყენებული



საქმე, რომელშიც მოსამართლემ პროკურორს უფლების ჩამორთმევის შეთანხმებული ვადა შეამცირებინა

პირს ბრალი ედებოდა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებაში. მასთან მიღწეულ იქნა საპროცესო გარიგება, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულს სასჯელად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ჩაეთვლებოდა პირობითად და 1 წლით გამოსაცდელი ვადა. ამასთან, მას 3 წლით უნდა ჩამორთმეოდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. ბრალდებულმა პროცესზე განაცხადა, რომ ის მუშაობდა ტაქსის მძღოლად და ამით არჩენდა ოჯახს, ამიტომ სამი წელი უმუშევარი, შემოსავლის გარეშე ვერ დარჩებოდა. ამის საფუძველზე, მოსამართლემ პროკურორს შესთავაზა პირობების შეცვლა. პროკურორმა შესვენების გამოცხადება ითხოვა, რის შემდეგაც მან თანხმობა გამოთქვა უფლებების ჩამორთმევის ვადის 3-დან 1 წლამდე შემცირებაზე. მას შემდეგ, რაც ბრალდებული დათანხმდა ამ პირობებს, მოსამართლემ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პროცესზე საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული ჯარიმის წინასწარ გადახდის 3 შემთხვევა. აღნიშნულით ჩრდილი ადგება სასამართლოს ავტორიტეტს, სხდომას უკარგავს აზრს და, გარკვეულ-წილად, წარმოადგენს კონკრეტული მოსამართლის უპატივცემ-ლობას, რადგან მხარეები, საკუთარი ქმედებით, წინ უსწრებენ და წინასწარ განსაზღვრავენ მოსამართლის გადაწყვეტილებას მაშინ, როდესაც მოსამართლემ შეიძლება საერთოდ უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე და, შესაბამისად, იქ განსაზღვრულ ჯარიმაზე.

პ. დაკვირვების შედეგები ცალკეული უფლების გიხედვით

I. მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ძირითადი პრინციპებია, რაც დადგენილია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 და 25-ე მუხლებით.

ამ პრინციპების თანახმად, მხარეებს აქვთ უფლება, წარმოადგინონ მტკიცებულებები და ისარგებლონ თანაბარი უფლებებით საქმის მსვლელობისას.¹⁹ ამ უფლების დასაცავად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და მისცეს მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა, გამოიკვლიონ მტკიცებულებები. გარდა ამისა, მოსამართლე არ უნდა გასცდეს წარდგენილი ბრალდების ფარგლებს, არმედ უნდა შემოიზღუდოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებით.

მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის წარმოების პროცესში, სადაც ბრალდების მხარე შესაბამისი სახელმწიფო რესურსით და ძალაუფლებით სარგებლობს, ხოლო დაცვის მხარეს ასეთი უპირატესობა არ გააჩნია.

გამოვლენილი შედეგები

საიას დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლეები უმეტესად მოქმედებდნენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფნენ, რათა ყველა მხარეს ჰქონდა თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი ინტერესების წარმოსადგენად.

უმეტეს შემთხვევაში, მოსამართლეები არ ერეოდნენ მოწმეთა დაკითხვაში, წარმატებით იცავდნენ წესრიგს სასამართლო დარბაზში და უზრუნველყოფნენ მხარეთა თანასწორობას.

¹⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42.6.

მიუხედავად ამისა, საიამ დააფიქსირა გარკვეული ხარვეზები. ორ საქმეში მოსამართლე დაეხმარა პროკურორს მოწმეთა და-კითხვის ეტაპზე, ის მიანიშნებდა, თუ რომელი კითხვა უნდა ყო-ფილიყო განრიცებული. ამას გარდა, მოსამართლე ჩაერია მოწ-მის დაკითხვის პროცესში და უხეშად დაარღვია მხარეთა თანას-წორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი:

- ერთ-ერთ არსებითი განხილვის სხდომაზე, ხელახალი ჯვარედინი დაკითხვის დროს, ადვოკატის შემდეგ ბრალ-დებულმაც დაუსვა მოწმეს რამდენიმე კითხვა. ბრალ-დებულმა კითხვები საპროცესო ხორმების დარღვევით დასვა, რაზეც პროკურორმა სათანადო რეაგირება ვერ მოახდინა. მოსამართლემ პროკურორის გასაგონად რამ-დენჯერმე განმარტა: „ბაგონო პროკურორი, შეგახსენ-ებთ, რომ ჩვენ ახლა ვიმყოფებით ხელახალი ჯვარედინი დაკითხვის ეტაპზე და რაიმე სახის შუამდგომლობა ხომ არ გაქვთ?“ აღნიშნულით მოსამართლე მიანიშნებდა პროკურორს, რომ მოეთხოვა კითხვის განრიცება.
- მეორე საქმეში მოსამართლემ რამდენჯერმე დაარღვია თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი:
 - ✓ მოსამართლემ ბრალდებულს 3-ჯერ შეაწყვეტინა მოწმის დაკითხვა იმ მოტივით, რომ ბრალდებული არასწორად სვამდა კითხვებს. მოსამართლემ აღნიშ-ნა, რომ, მართალია, თავად არ ჰქონდა ბრალდებუ-ლის შეკითხვების გაპროტესტების უფლება მაშინ, როდესაც პროკურორი ამაზე რეაგირებას არ ახდენ-და, თუმცა მოუწოდებდა, რომ სწორად დაესვა კითხ-ვები.
 - ✓ იმ შემთხვევებში, როდესაც პროკურორი აყენებდა კითხვის აცილების შუამდგომლობას და ის სათანა-დოდ ვერ ასაბუთებდა საკუთარ მოთხოვნას, მო-სამართლე თავად აყალიბებდა იმ არგუმენტაციას, თუ რატომ უნდა დაკმაყოფილებულიყო აღნიშნული შუამდგომლობა.
 - ✓ ერთ-ერთი მოწმის დაკითხვის დროს, მოსამართლე დაეხმარა მოწმეს კითხვაზე პასუხის გაცემაში. ბრალდებულმა პკითხა მოწმეს, თუ რა სახით (წერი-ლობით, ზეპირად, მოკლე ტექსტური შეტყობინებით თუ სხვა) მისცა პროკურორმა მას დავალება და

კონკრეტულად ვინ მისცა ეს დავალება. აღნიშნულ კითხვას პასუხი ნაწილობრივ მოსამართლემ გასცა მანამ, სანამ მოწმე რაიმეს იტყოდა. მოსამართლემ მოწმეს უთხრა, რომ აუცილებელი არ იყო, დავალება ყოფილიყო წერილობითი, რადგან ეს არც ერთ კანონში არ ეწერა. მოსამართლემ უთხრა მოწმეს, რომ უბრალოდ ეპასუხა, ვინ მისცა დავალება.

- ✓ გამომძიებლის დაკითხვის დაწყების წინ მოსამართლემ მას მიმართა, რომ, სავარაუდოდ, [გამომძიებელს] არ ემახსოვრებოდა ამ საქმის გარემოებები, რადგან შემთხვევა მარტში მოხდა. ამის შემდეგ მოსამართლემ მოწმეს თავისი საქმის ტომი შესთავაზა, რათა საქმის მასალების დახმარებით გაეცა პასუხი კითხვებისთვის. მოწმემ ისარგებლა ამ შემთხვევით. მსგავსი მეთოდით მოწმის დაკითხვა აბსოლუტურად აზრს მოკლებული იყო, რადგან საქმის მასალების დახმარებით, ნებისმიერი გარეშე პირი გასცემდა კითხვებს პასუხს ზუსტად ისე, როგორც მასალებში იყო მითითებული.

ორ შემთხვევაში, მოსამართლემ ბრალდებულს არ განუმარტა მისი უფლებები, რითაც ეჭვქვეშ დააყენა ბრალდებულის მიერ ამ უფლებებით რეალურად სარგებლობის შესაძლებლობა:

- ერთ-ერთი საპროცესო შეთანხმების განხილვის სხდომა მოსამართლემ 4 წუთში დაასრულა, იმგვარად, რომ ბრალდებულისთვის არცერთი უფლება არ განუმარტავს. მან ბრალდებულს მხოლოდ ის უთხრა, რომ, სამნებაროდ, 1 წელი ციიქში უნდა მჯდარიყო, თუმცა, აღნიშნულ დანაშაულზე სასჯელის მაქსიმალური ვადა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა იყო, ამიტომ საპროცესო შეთანხმება მაინც კარგი პირობით იყო გაფორმებული. მოსამართლემ გამოაცხადა, რომ საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა და დატოვა სხდომის დარბაზი.
- მეორე შემთხვევაში, არსებითი განხილვის პირველ სხდომაზე მოსამართლემ ბრალდებულს ჰკითხა, სურდათუ არა უფლებების განმარტება. ბრალდებულმა უპასუხა, რომ იცოდა მათ შესახებ და არ საჭიროებდა დამატებით განმარტებას. შესაბამისად, მოსამართლეს მისთვის არცერთი უფლება არ განუმარტავს. აღსანიშნავია, რომ

მოსამართლე არ არის დამოკიდებული ბრალდებულის განცხადებაზე და, მაღალი ალბათობით, ბრალდებულის უფლებების დასაცავად, მოსამართლე კანონით პირდა-პირ არის ვალდებული, ყველა ბრალდებულს სრულყო-ფილად განუმარტოს მისი უფლებები და არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ბრალდებული მოითხოვს.

ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე თბილისის ყოფილი მერის, გიორგი უგულავას წინააღმდეგ, მოსამართლე პროკურორს არ აძლევდა საშუალებას, სრულყოფილად დაეფიქსირებინა თავი-სი პროტესტი. როდესაც პროკურორი აპროტესტებდა დაცვის მიერ დასმულ შეკითხვას, მოსამართლე არ აცდიდა პროტესტის სრულად ჩამოყალიბებას იმ მოტივით, თითქოს დაცვა აკონკ-რეტებდა კითხვას იმგვარად, რომ შეეცვალა მისი ფორმულირება. მოსამართლემ განმარტა, რომ კითხვის დაკონკრეტება კითხ-ვის შეცვლას ნიშნავდა, თუმცა ეს ასე არ არის. პროკურორის პროტესტის საფუძვლის ბოლომდე მოსმენის გარეშე, შეუძლე-ბელი იყო ახალი კითხვის იმგვარად ფორმულირება, რომ პრო-ტესტის მიზეზი აღმოფხვრილიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით პროკურორი სასტიკ უკმაყოფილებას გამოთქვამდა.

ამის საპირისპიროდ, დაფიქსირდა დადებითი შემთხვევებიც, როდესაც მოსამართლემ ხელი შეუწყო პროცესზე რეალური თა-ნასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვას:

- არსებითი განხილვის სხდომაზე გაირკვა, რომ ადვოკატს მტკიცებულებათა ნუსხაში შეტანილი არ ჰქონდა ბრალ-დებულის ჩვენება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრალდებულის პროცესზე დაკითხვა დამოკიდებული იყო მხოლოდ პროკურორზე, რომელსაც, თავის მხრივ, ბრალდებული შეყვანილი ჰყავდა დასაკითხ პირთა სიაში. მოგვიანებით, პროკურორმა, როგორც მტკიცებულება, მოხსნა ბრალ-დებულის ჩვენება თავის მტკიცებულებათა ნუსხიდან და უარი თქვა მის დაკითხვაზე. გამომდინარე აქედან, ბრალდებულს რეალურად შეეზღუდა თავის საქმეზე ჩვენების მიცემის უფლება და ის აშკარად არათანა-ბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბრალდების პირისპირ. სწორედ აქ მიიღო სათანადო ზომები მოსამართლემ. ის არ შემოიფარგლა ვიწროდ სისხლის სამართლის საპ-როცესო კოდექსის ნორმებით, არამედ იხელმძღვანელა სამართლიანი სასამართლოსა და რეალური თანასწორო-ბისა და შეჯიბრებითობის პრინციპით. მოსამართლემ ეს

შემთხვევა ბრალდებულის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე განმარტა და განაცხადა, რომ ვინაიდან ეს პირი არის ბრალდებული და არა უბრალო მოწმე, მისი უფლებაა, დაკითხოს თავისი საქმის განხილვაზე და დაცვას მისცა უფლება, დაეკითხა ბრალდებული, როგორც თავისი მოწმე. სასამართლო მონიტორინგის ფარგლებს გარეთ, საიას გამოცდილებით, მსგავს შემთხვევებში სასამართლოს პრაქტიკა არაერთგვაროვანია და ხშირად კანონი ბრალდებულის სასარგებლოდ არ განიმარტება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მსგავს შემთხვევაში, სახეზეა ადვოკატის არაკომპეტენტურობა და დაცვის უფლების დარღვევა.

- პირველი წარდგენის ოთხ სხდომაზე, ბრალდებულებს, რომელთაც არ ჰყავდათ ადვოკატი, მოსამართლემ გასცა პასუხი ყველა სამართლებრივ შეკითხვაზე, სრულად და ამომწურავად მისცა შესაბამისი განმარტება, გააცნო აღკვეთის ღონისძიების ყველა სახე და მათი მოთხოვნის შესაძლებლობები.
- ერთ წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ ხელი შეუწყო ბრალდებულს, გასცნობოდა საქმის მასალებს. პროცესის გახსნისთანავე მოსამართლემ განაცხადა, რომ სასჯელალსრულების მე-8 დანესებულებიდან მოუვიდა პასუხი თავის წერილზე, რომლითაც ითხოვდა, ბრალდებულ გ.ლ-სათვის მიეცათ საშუალება, საპატიმროში გასცნობოდა დისკზე არსებულ ინფორმაციას. საპატიმრო დაწესებულების პასუხის მიხედვით, ბრალდებულს მიეცა საშუალება, გასცნობოდა დისკზე განთავსებულ ინფორმაციას. მოსამართლემ ჰკითხა ბრალდებულს, მართლა მიეცა თუ არა მტკიცებულებების გაცნობის შესაძლებლობა, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.

საიამ აგრეთვე დააფიქსირა სასამართლოს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სასამართლო დარბაზებში წესრიგის დაცვის კუთხით. რიგ შემთხვევაში, სასამართლო იყო არაადეკვატურად ლმობიერი, რაც აზარალებდა პროცესის ეფექტურად წარმართვას, სხვა შემთხვევაში კი – ის იღებდა საჭირო ზომებს დარბაზში წესრიგის დასამყარებლად. მაგალითად:

- ერთი არსებითი განხილვის სხდომაზე მოსამართლე ვერ ახერხებდა მხარეების დამორჩილებას მოწმის დაკითხ-

ვის დროს. მხარეები არ აცდიდნენ ერთმანეთს შუამდგომლობის დაყენებას კითხვის განრიდებასთან დაკავშირებით და იწყებდნენ ჩხუბსა და კამათს. ამ დროს მოწმე აგრძელებდა პასუხის გაცემას, მოსამართლე კი არ იყენებდა მის ხელთ არსებულ შესაძლებლობას, დაემყარებინა დარბაზში წესრიგი. ერთ-ერთი ასეთი კამათის დროს ბრალდებული წყობიდან გამოვიდა და უშვერი სიტყვებით მიმართა პროკურორსა და მოწმეს. მოსამართლემ ბრალდებული სხდომის დარბაზიდან გააძევა, თუმცა, სანამ დარბაზიდან გაიყვანდნენ, მას პროკურორმაც მიაყენა შეურაცხყოფა, კერძოდ, შეაგინა. ამის გამო, მოსამართლემ ბრალდების მხარეს მკაცრი გაფრთხილება მისცა და უთხრა, რომ თუკი მსგავსი რამ კიდევ განმეორდებოდა, მასაც გააძევებდა დარბაზიდან იმის მიუხდავად, რომ პროკურორი იყო. საიას აზრით, პროკურორსაც იგივე სანქცია უნდა განსაზღვროდა სასამართლოს უპატივცემლობისთვის, რაც ბრალდებულს განესაზღვრა და უნდა გაძევებულიყო სხდომის დარბაზიდან. გარდა ამისა, მოსამართლეს თავის დროზე რომ მიეღო ადეკვატური ზომები, მდგომარეობა ასე არ დაიძაბებოდა და შესაძლებელი იქნებოდა სხდომის ნორმალურ პირობებში წარმართვა.

- ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე, გიორგი უგულავას წინააღმდეგ, სხდომის დარბაზში იყო ხმაური. მოსამართლემ განაცხადა, რომ ხმაური ხელს უშლიდა პროცესის წარმართვას. პროკურორმაც რამდენჯერმე სთხოვა მოსამართლეს, შესაბამისი ზომები მიეღო, რაზეც მოსამართლემ განაცხადა, რომ ვერ ხერხდებოდა კონკრეტულად იმ პირის დადგენა, ვინც ხმაურობდა. ამ შემთხვევაში, მოსამართლეს შეეძლო, მთლიანად დაეხურა სხდომა და ამგვარად უზრუნველეყო პროცესის ნორმალური მიმდინარეობა.
- ამის საპირისპირო სიტუაცია დაფიქსირდა გიორგი უგულავას კიდევ ერთი სხვა საქმის განხილვაზე. პროცესის დაწყებისთანავე მოსამართლემ საკმაოდ მკაცრად მოითხოვა სიწყნარე და დამსწრე საზოგადოება გააფრთხილა შესაბამისი პასუხისმგებლობის შესახებ ხმაურის გაგრძელების შემთხვევაში. აღნიშნულით მოსამართლემ მიაღწია შედეგს და დარბაზში სიწყნარე

დამყარდა. ამასთან, მოსამართლემ ბრალდებულ გი-ორგი უგულავასაც გააწყვეტინა სიტყვა, როდესაც ის პოლიტიკურ განცხადებას აკეთებდა და მიუთითა, რომ სასამართლო პოლიტიკური ტრიბუნა არ იყო და მომა-ვალში ამის უფლებას აღარ მისცემდა.

- კიდევ ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებული მოსამართლეს შენობით მიმართავდა. მოსამართლემ ის გააფრთხილა სასამართლოს უპატივცემლობისთვის პასუხისმგებლობის შესახებ. აცილების უფლების გან-მარტებისას, ბრალდებულმა განაცხადა, რომ აცილება მხოლოდ ფეხბურთში გაეგონა. აღნიშნული განცხა-დებისათვის მოსამართლემ ის 200 ლარით დააჯარიმა. ამის შემდეგ ბრალდებულმა დაიწყო ყვირილი. ის ამ-ბობდა, რომ არ ჰქონდა ამდენი ჯარიმის გადახდის სა-შუალება და, რომ მას არ ესმოდა იურიდიული ტერმინე-ბი და ნუთუ შეკითხვის დასმის უფლებაც არ ჰქონდა. აღნიშნულზე მოსამართლემ განარდა ჯარიმის ოდენო-ბა 500 ლარამდე. მას შემდეგ, რაც მანდატურებმაც ვერ მოახერხეს ბრალდებულის დაწყნარება, მოსამართლემ სასამართლოს უპატივცემლობისათვის გააძევა ის სხ-დომის დარბაზიდან და გადადო სხდომა მანამ, სანამ საქმეში სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატი არ ჩაერთვებოდა.

სხვა დასკვნები:

- 351 არსებითი განხილვის სხდომიდან, რომლებსაც სა-იას მონიტორები ესწრებოდნენ, 3 სხდომა დაიხურა, 128 კი გადაიდო. დანარჩენი 220 სხდომიდან 132-ში (60%) დაიკითხენ მოწმეები. ამ 132 საქმიდან 9-ში მოსამარ-თლემ კითხვები დაუსვა მოწმეებს. 9 საქმიდან მოსამარ-თლეს საპროცესო მოთხოვნები არცერთ შემთხვევაში არ დაურღვევია და კითხვები მოწმეს მხარეთა თანხმო-ბის შემდეგ დაუსვა. მონიტორინგის დაწყებიდან (2011 წლის ოქტომბერი) ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მოსამართლეს კითხვების დასმის დროს საპროცესო ნორმები არ დაურღვევია.
- წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, რამდენიმე არსე-ბითი განხილვის სხდომაზე კვლავ არ იყო მოწესრიგე-ბული უკვე დაკითხული და დასაკითხი მოწმეების გან-

ცალკევების საკითხი, რაც, წესით, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს.²⁰ მოწეები დარბაზის გარეთ იდგნენ და ერთმანეთს უყვებოდნენ, თუ რა ჩვენება მისცეს. ამის აღსაკვეთად კი, სამწუხაროდ, სასამართლოს არაფერი უღონია.

II. დაცვის უფლება

ბრალდებულის დაცვის უფლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გარანტის სისხლის საქართალწარმოების დროს. აღნიშნული უფლება დაცულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლი მოითხოვს, რომ ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, როდესაც დაცვის უფლება შესაძლოა შეიღაბოს, მაგალითად, როდესაც ბრალდებული არ ფლობს საქმისწარმოების ენას, მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, ან არის ფიზიკურად ან ფსიქიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რაც ხელს უშლის მას, თავად დაიცვას საკუთარი ინტერესები.

დაცვის უფლების სრული რეალიზაციისთვის, დაცვის მხარეს უნდა მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, მოამზადოს თავისი პოზიცია. ამასთან, ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი საშუალება საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების დასაცავად.

გამოვლენილი შედეგები:

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ, ძირითადად, უზრუნველყოფილი იყო დაცვის უფლება და ადვოკატის მონაწილეობა პროცესებში კანონით განსაზღვრული სავალდებულო დაცვის შემთხვევებში.

²⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „მოწმე უნდა დაიკითხოს სხვა მოწეთაგან განცალკევებით. ამასთანავე, სასამართლო იღებს ზომებს, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ.“

გარდა ამისა, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვამ ითხოვა განხილვის გადადება იმისათვის, რომ უკეთ გასცნობოდა საქმის მასალებს და მომზადებულიყო, მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარე ასეთ შუამდგომლობებს არ აპროტესტებდა.

მიუხედავდა ამისა, გამოვლინდა დაცვის უფლების დარღვევის გარევეული შემთხვევები, რა დროსაც ხან სასამართლომ არ მიიღო შესაბამისი ზომები დაცვის უფლების სრულყოფილად განსახორციელებლად, ხან სამართალდამცავებმა შეუზღუდს ბრალდებულს დაცვის უფლება, ხან კი თავად ადვოკატი იყო არაკვალიფიციური, ან იჩენდა პასიურობას და არ იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს ბრალდებულის ინტერესების დასაცავად.

სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაცვის უფლების დარღვევის მაგალითები:

- ერთ წინასასამართლო სხდომაზე მხარეთა შუამდგომლობების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, მოსამართლემ სხდომა ისე დაასრულა, რომ მხარეებისათვის არ უკითხავს, ხომ არ ჰქონდათ სასამართლოს წინაშე დასაყენებელი რაიმე სხვა სახის შუამდგომლობა. ამის გამო, დაცვამ ვერ მოახერხა, დაეყენებინა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ადვოკატმა გამოითქვა პრეტენზია, თუმცა მოსამართლემ მიუგო, რომ სხდომა დასრულდა და ამიტომ აღნიშნულ შუამდგომლობას ველარ განიხილავდა. მოსამართლემ ადვოკატს ურჩია, ამ შუამდგომლობით სასამართლოსთვის წერილობით მიემართა. ხსენებულ შემთხვევაში მოსამართლის პირდაპირი ვალდებულება იყო, მიჰყოლოდა სხდომის გამართვის პროცედურებს და ეკითხა, სხვა შუამდგომლობებიც ხომ არ ჰქონდათ მხარეებს. თუმცა, ადვოკატის მხრიდან სათანადო ყურადღების გამოჩენის შემთხვევაშიც შეიძლებოდა მოსამართლისათვის სხდომის ამ ეტაპის შეხსენება მანამ, სანამ იგი სხდომას დაასრულებდა. შესაბამისად, სახეზე გვაქვს როგორც მოსამართლის, აგრეთვე დაცვის არაკომპეტენტურობა ან უყურადღებობა, რამაც საბოლოო ჯამში დაცვის უფლების დარღვევა გამოიწვია.

- არსებითი განხილვის ერთ სხდომაზე სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულმა ადვოკატმა განაცხადა, რომ სხდომის გამართვამდე მას ბრალდებულთან შეხვედრის შესაძლებლობა არ ჰქონდა, რადგან ციხის ადმინისტრაციამ მასთან შესვლის უფლება არ მისცა. ადვოკატმა აღნიშნა, რომ წერილობით მიმართა ადმინისტრაციას იმის გასარკვევად, თუ რატომ ვერ შეძლო ბრალდებულთან შეხვედრა და დაცვის განხორციელება, თუმცა პასუხი ჯერ არ მიუღია.

მოსამართლის რეაგირების დადგებითი მაგალითი

არსებითი განხილვის სხდომაზე არ გამოცხადდა ბრალდებული, რის გამოც პროკურატურა მის მიმართ პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა, თუმცა პროკურორს სათანადოდ არ ჰქონდა გამოკვლეული ბრალდებულის გამოუცხადებლობის მიზეზი. სათანადო ინფორმაცია არც ბრალდებულის ადვოკატს წარმოუდგენია. მოსამართლემ, ბრალდებულის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, თავად გამოიჩინა მაქსიმალური ყურადღება და ორივე მხარეს დაავალა, უკეთ გამოეკვლიათ ბრალდებულის გამოუცხადებლობის მიზეზი და სრულყოფილად წარმოედგინათ ყველა დოკუმენტი შემდეგ სხდომაზე. მოსამართლემ პროკურორს ჰყითხა, გადაამოწმა თუ არა ბრალდებული რაიონში მის საცხოვრებელ მისამართზე, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ეს პირი წარსულშიც არაერთხელ იყო ნასამართლევი, შესაბამისად, სამართალდამცავ ორგანოებს სრულად ჰქონდათ მასზე ინფორმაცია. მოსამართლემ პროკურორს მოუწოდა, მოეძიებინა ეს ინფორმაცია, დაკავშირებოდა ბრალდებულის ახლობლებს და გაერკვია მისი ადგილმდებარეობა, საერთოდ ხომ იყო ის ცოცხალი და ხომ არ გარდაცვლილა. მოსამართლემ განაცხადა, რომ სასამართლოს სურდა, სრულად გარკვეულიყო ბრალდებულის გამოუცხადებლობის მიზეზი, რადგან ამას შესაბამისი სამართლებრივი შედეგები მოჰყვებოდა.

დაცვის არაკვალიფიციურობის და პასიურობის მაგალითი გამოვლინდა შემდეგ საქმეებში:

- არსებითი განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე ადვოკატმა თქვა, რომ არ ეთანხმებოდა ბრალდებულს, თუმცა, რადგან მისი დაცვის ქვეშ იმყოფებოდა, მხოლოდ სასამართლოს წინაშე ეთანხმებოდა. ადვოკატსა და ბრალდებულს პქონდათ განსხვავებული პოზიციები რიგ საკითხებთან მიმართებით. მაშინ, როდესაც ბრალდებული არ ეთანხმებოდა კონკრეტულ საკითხს, ადვოკატი თავს უქნევდა მოსამართლეს თანხმობის ნიშნად, ყოველივე ამის გამო, ადვოკატსა და ბრალდებულს შორის მოხდა უთანხმოება. ასეთ მდგომარეობაში, ადვოკატი ვალდებული იყო, თვითაცილება მოეხდინა, რადგან ბრალდებული და ადვოკატი ვერ შეთანხმდნენ ერთიან პოზიციაზე, რითაც არსებითად დაირღვა ბრალდებულის დაცვის უფლება.
- არსებითი განხილვის კიდევ ერთ სხდომაზე პროკურორი ახორციელებდა ბრალდებულის, როგორც თავის მოწმის დაკითხვას, პირდაპირი დაკითხვის წესით, რა დროსაც პასუხის მიმანიშნებელი კითხვების დასმა აკრძალულია. დაკითხვა წარიმართა პირდაპირი დაკითხვის წესის დარღვევით, ვინაიდან პროკურორი ყველა კითხვას ბოლოში აყოლებდა „ხომ ასეა?“. სამწუხაროდ, არცერთი ასეთი კითხვა დაცვის მხარეს არ გაუპროტესტებია, რაც მიანიშნებს მის არაკვალიფიციურობასა ან სრულ გულგრილობაზე.
- პირველი წარდგენის ერთ-ერთ სხდომაზე ადვოკატმა გამოავლინა სრული არაკვალიფიციურობა. მან არ იცოდა ისეთი ელეგინტარული რამ, როგორიც არის კანონით გათვალისწინებული გირაოს მინიმალური ოდენობა, შესაბამისად, სასამართლოს წინაშე გირაოს 1000 ლარზე ნაკლები ოდენობის შეფარდებას შუამდგომლობდა, რაც კანონით დაუშვებელია. ადვოკატის არაკომპეტენტურობის გამო, ბრალდებულს დაერღვა დაცვის უფლება. აღნიშნული ადვოკატი შეთანხმებით იყო მოწვეული.
- საპროცესო განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე ბრალდებული ადვოკატის მიერ არ იყო ინფორმირებული იმის შესახებ, რომ მას ასევე შეეძლო მოეთხოვა უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირება და როდესაც მოსამართლისაგან გაიგო ამის შესახებ, გაოცება ვერ დამალა. ამის შემდეგ, ბრალდებულმა მოითხოვა სატრანსპორტო

საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის 3 ნლიანი ვადის შემცირება, თუმცა ზემდგომი პროცესორი ამ პირობას აღარ დათანხმდა და საპროცესო შეთანხმება პირობების უცვლელად დამტკიცდა. აქვე დადებითად არის აღსანიშნავი მოსამართლის მცდელობა, ხელი შეეწყო დაცვის უფლების განხორციელებისათვის, რისთვისაც მან გამოაცხადა 20-წუთიანი შესვენება, რათა მხარეებს შორის შეცვლილ პირობებზე მომხდარიყო შეთანხმება.

პროცესზე მოუმზადებელი ადვოკატის გამოცხადების შემთხვები:

- ერთ წინასასამართლო სხდომაზე ადვოკატი არ იცნობდა საქმის მასალებს და პროცესის მიმდინარეობისას ეძებდა სადავო და არასადავო მტკიცებულებებს. თავდაპირველად ადვოკატმა განაცხადა, რომ ყველა მტკიცებულებას ხდიდა სადავოდ. მას შემდეგ, რაც მოსამართლემ ჰქითხა, ხდიდა თუ არა სადავოდ ადვოკატის ორდერს, აღმოჩნდა, რომ კიდევ სხვა ბევრი მტკიცებულება არ ყოფილა დაცვის მხარისთვის სადავო.
- არსებითი განხილვის ეტაპზე ადვოკატს ბრალდებულთან არ ჰქონდა შეთანხმებული, აღიარებდა თუ არა ის ბრალს. შესავალი სიტყვის დროს ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი არ აღიარებდა ბრალს, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ბრალდებული ბრალს აღიარებდა.

საპროცესო განხილვის სხდომებზე ადვოკატის გულგრილი და უპასუხისმგებლო საქციელის მაგალითები:

- პირველ შემთხვევაში, ადვოკატმა მხოლოდ პროცესის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, სანამ მოსამართლე დარბაზში შემოვიდოდა, გაუწია ბრალდებულს იურიდიული კონსულტაცია და აუხსნა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო და რა უნდა ეპასუხა მოსამართლის შეკითხვებზე.
- მეორე საქმეში, სხდომაზე, რომელზეც უნდა გაფორმებულიყო საპროცესო შეთანხმება, შეთანხმებით მოწვეული ადვოკატი არ გამოცხადდა. მან ბრალდებულს გამოატანა განცხადება, სადაც აღნიშნავდა,

რომ ბათუმში ჰქონდა პროცესი და ითხოვდა სხდომის გადადებას. გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოში საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობა შესული იყო 13 დღის ნინ და მისი განხილვისთვის კანონმდებლობით დადგენილი 14 დღიანი ვადა იწურებოდა, სასამართლომ პროცესი გადადო რამდენიმე საათით და ადვოკატს მისცა ქუთასში ჩამოსვლის დრო. მიუხედავად ამისა, ადვოკატი მაინც არ ჩამოვიდა ქუთასში და ხელმეორედ დააბარა ბრალდებულს, რომ ეთხოვა განხილვის მომდევნო დღისათვის გადადება. ამის შემდეგ მოსამართლემ განმარტა, რომ ისინი დაუკავშირდნენ ბათუმის საქალაქო სასამართლოს და გაარკვიეს, რომ აღნიშნულ ადვოკატს ბათუმში მომდევნო დღესაც ჰქონდა ჩანიშნული პროცესი, რომლის განხილვის ვადა აგრეთვე იწურებოდა. გამომდინარე აქედან, მოსამართლემ არ გადადო სხდომა მომდევნო დღისათვის, არამედ საქმეში ჩართო სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული ადვოკატი და სხდომა გადადო სასამართლოში მის გამოცხადებამდე.

III. არასათანადო მოპყრობის აკრძალვა

არასათანადო მოპყრობა აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. აკრძალვა უზრუნველყოფს წამებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან დაცვას.

ამ უფლების რეალიზებისთვის ბრალდებულმა უნდა იცოდეს თავისი უფლების შესახებ. ასევე, უნდა იცოდეს, რომ არასათანადო მოპყრობის გამო აქვს უფლება, სარჩელი შეიტანოს მიუკერძოებელ სასამართლოში. ლოგიკურად, ბრალდებულის ეს უფლებები სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, აცნობოს მას ამ უფლებების შესახებ. აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ბრალდებული პატიმრობაშია და სახელმწიფო ფიზიკურად სრულად აკონტროლებს მას.

საიამ, მონიტორინგის შედეგად, კვლავ გამოავლინა ამ უფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ განუმარტოს ბრალ-

დებულს მისი უფლებები არასათანადო მოპყრობის საწინააღმ-დეგოდ და მოისმინოს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ. კანონი არ ადგენს პროცედურას, რომლითაც მოსამართლეს შეუძლია ქმედითი ზომების გატარება, როდესაც სახეზეა სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობა. ნაცვლად ამი-სა, მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ ჰქითხოს ბრალ-დებულს, ჰქონდა თუ არა ადგილი მის მიმართ არასათანადო მოპყრობას.

გამოვლენილი შედეგები:

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ერთი სა-ვარაუდოდ არასათანადო მოპყრობის ფაქტი. კერძოდ, პირველი წარდგენის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, გამომძიებელმა ბრალდებულს უთხრა, რასაც მე დაგინერ, იმას მოაწერე ხელით და საპროცესო შეთანხმებას გაგიფორმებს პროცესორით. ად-ვოკატის თქმით, პროცესორიც ინფორმირებული იყო ამის შეს-ახებ. ადვოკატის განმარტებით, ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულს და მასზე ორი საათის განმავლობაში მიმდინარე-ობდა ფსიქოლოგიური ზემოქმედება. მოსამართლემ ადვოკატს ურჩია, რომ პროცესორის/გამომძიებლის უფლებამოსილების გადამეტებასთან დაკავშირებით მიემართა შესაბამისი ორგა-ნოებისთვის. აღნიშნული მაგალითი კიდევ ერთხელ მიანიშნებს მოსამართლის ფარმალურ როლზე სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოაშარავებისას და მიუთითებს ამ მიმართულებით მოსამართლის როლის და უფლებამოსილების გაზრდის აუცილებლობაზე.

რაც შეეხება დაკვირვების სხვა შედეგებს, მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, მოსამართლემ უფრო მეტ შემთხვევაში განუმარტა ბრალდებულს თავისი უფლება, საჩივრით მიემართა სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში:


- პირველი წარდგენის სხდომებზე მოსამართლემ 339 მოსმენიდან 24 შემთხვევაში (7%) არ განუმარტა ბრალ-დებულს უფლება, საჩივრით მიემართა სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის შესახებ და არ გამოარკვია, დაექვემდებარა თუ არა ბრალდებული არასათანადო მოპყრობას. გასულ საანგარიშო პერიოდში მოსამარ-თლემ ბრალდებულს ეს უფლებები არ განუმარტა 283 მოსმენიდან მხოლოდ 16 შემთხვევაში (5%). აღსანიშ-

ნავია, რომ მონიტორინგის დასაწყისში (2011 წლის ოქტომბერი-დეკემბერი) ეს მონაცემი 28%-ს შეადგენდა.

- მიმდინარე მონიტორინგის ბოლო სამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მდგომარეობა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებების განმარტების კუთხით. აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში სასამართლომ 170-დან მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ გამოარკვია, ხომ არ იყო საპროცესო შეთანხმება მიღწეული იძულებით, ზემოქმედებით, მოტყუებით ან სხვა ნებისმიერი უკანონო დაპირებით. გასულ საანგარიშო პერიოდში მოსამართლებმა ეს უფლება ბრალდებულს საპროცესო შეთანხმების განხილვის სხდომების 100%-ში (135-დან 135 სხდომაზე) განუმარტეს.
- საიას დაკვირვებით, მონიტორინგის პერიოდში გაფორმებული საპროცესო შეთანხმებების მხოლოდ 2%-ში (170-დან 3) არ აუხსნა მოსამართლემ ბრალდებულებს, რომ მათ მიერ სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივარი ხელს არ შეუშლიდა კანონიერად გაფორმებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პერიოდის შედეგებს (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით).

დიაგრამა №11


**მოსამართლემარ აუხსნაბრალდებულს, რომ
არასათანადომოცყრობის შესახებ საჩივრის გაცხადება
ხელსა რ შეუშლიდა კანონიერად გაფორმებული
საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას**



- შემთხვევების 4%-ში, როდესაც საპროცესო შეთანხმება იყო მიღწეული (170-დან 7 შემთხვევა), მოსამართლება არ აუხსნა ბრალდებულს, რომ, თუ საპროცესო შეთანხმება არ დამტკიცდებოდა, ინფორმაცია, რომელიც გამოვლინდა საპროცესო შეთანხმების მიღწევისას, არ იქნებოდა გამოყენებული მის წინააღმდეგ. ეს კიდევ უფრო გაუმჯობესებული შედეგია წინა პერიოდთან შედარებით, როდესაც მოსამართლემ ვერ შეძლო ამის განმარტება ბრალდებულისთვის 135-დან 8 შემთხვევაში (6%). ეს არის იმ ტენდენციის გაგრძელება, რომელიც მონიტორინგის მესამე საანგარიშო პერიოდში დაიწყო (ივლისი-დეკემბერი, 2012). ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას იმ საანგარიშო პერიოდების განმავლობაში, როდესაც საია აკვირდებოდა აღნიშნულ მონაცემს.

დიაგრამა №12

მოსამართლემარ აუხსნა ბრალდებულს, რომ თუ
საპროცესო შეთანხმება არ დამტკიცდებოდა,
ინფორმაცია, რომელიც გამოვლინდა საპროცესო
შეთანხმების მდრევისას, არ იქნებოდა გამოყენებული
მის წინააღმდეგ



IV. მოტივირებული (დასაბუთებული) გადაწყვეტილების უფლება

სამართლიანი სასამართლოს უფლება პრალდებულის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებაა, რომელიც ასევე მოიცავს სასამართლოს მიერ მოტივირებული გადაწყვეტილების მიღების უფლებას.²¹

გადაწყვეტილების მიღების დასაბუთებულობის შესაფასებლად, საია დააკვირდა გამოძიების პერიოდში განხორციელებული ჩერეკისა და ამოღების დაკანონების პროცესებს, რომლებიც ჩატარდა მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე და გამართლებული იყო გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. საია მიიჩნევს, რომ, ზოგადად, ამ საკითხებს ცალკე კვლევა სჭირდება, რაც სცილდება წინამდებარე ანგარიშის მიზნები. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები საშუალებას იძლევა, ამ მიმართულებით საქართველოს სასამართლოებში არსებული სურათი თვალსაჩინო გახდეს.

ჩერეკა და ამოღება არის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდვას პირად სფეროში ჩაურეველობის უფლებას. ამიტომ კანონი უზრუნველყოფს სასამართლო კონტროლს ჩერეკასა და ამოღებაზე. კველა შუამდგომლობა ჩერეკისა და ამოღების შესახებ უნდა განიხილოს სასამართლომ და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე და 120-ე მუხლები მკაცრად განსაზღვრავს ორ წინაპირობას ჩერეკისა და ამოღებისათვის: დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩერეკის შედეგად მოპოვებული იქნება დანამატებულის მტკიცებულება და სასამართლოს ნებართვა. ჩერეკა და ამოღება სასამართლოს ნებართვის გარეშე დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა. მოსამართლე შემდევ ან უნდა დააკანონოს, ან გააუქმოს ჩერეკისა და ამოღების შედეგები.

გამოვლენილი შედეგები:

მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა ჩერეკასა და ამოღებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში, სადაც საიამ

²¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 194.2.

კვლავ დააფიქსირა მოტივირებული (დასაბუთებული) გადაწყვეტილების უფლების ამკარა დარღვევა.

მიმდინარე საანგარიშმ პერიოდშიც, მსგავსად წინა ანგარიშებისა, თითქმის ყველა საქმეში, რომელსაც საია აკვირდებოდა, ჩხრეკა და ამოღება ჩატარებული იყო გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში, მოსამართლის მიერ შემდგომი დაკანონებით. კერძოდ, ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების 43 შემთხვევიდან, რომელიც საიამ დააფიქსირა, მხოლოდ სამ შემთხვევაში ჩატარდა ალნიშნული ლონისძიება სასამართლოს ნებართვით, დანარჩენ 40 შემთხვევაში კი, დაკანონება სასამართლოს მიერ მოგვიანებით განხორციელდა.

საიამ ვერ შეძლო გაერკვია, იყო თუ არა ჩხრეკისა და ამოღების ფაქტის შემდგომი დაკანონება დასაბუთებული, ვინაიდან ისინი არ განიხილება ზეპირი მოსმენების შესაბამის სხდომებზე. თუმცა, ის ფაქტი, რომ 93% მხოლოდ ჩატარების შემდეგ დაკანონდა, წარმოშობს ეჭვს სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ იმ ვალდებულებების დაუცველობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მათ არ უნდა ჩატარონ ან დააკანონონ საგამოძიებო მოქმედება, რომელიც არ არის სათანადოდ არგუმენტირებული და ტარდება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე.

V. საჯარო განხილვის უფლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, საჯარო განხილვის უფლება ბრალდებულის და საზოგადოების მნიშვნელოვანი უფლებაა და გარანტირებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ამ უფლების სრულყოფილი რეალიზაციისათვის, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს საქმის წარმოების იმგვარად განხორციელება, რომ სხდომაზე დაინტერესებული პირის დასწრების შემთხვევაში, მას არ შეექმნას მიმდინარე პროცესში გარკვევის პრობლემა. ეს, ასევე, ნიშნავს დასწრების თანაბარი უფლების უზრუნველყოფას ყველასთვის. გარდა ამისა, სასამართლოს განაჩენი უნდა გამოცხადდეს საჯაროდ, სასჯელის ზომის, შესაბამისი კანონისა და ბრალდებულის მიერ მისი გასაჩივრების უფლების მითითებით.²²

²² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 277.1.

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში 2013 წლის მაისში შევიდა ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს სასამართლო სხდომების მეტ საჯაროობას. ამ ცვლილებების შედეგად, საზოგადოებრივ მაუწყებელსა და სხვა ტელევიზიებს უფლება მიეცათ, განახორციელონ სასამართლო პროცესის ვიდეო და აუდიო ჩაწერა.²³

გამოვლენილი შედეგები:

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ საჯარო განხილვის უფლება, როგორც წესი, დაცულია. მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, ძირითადი გამონაკლისი იყო პირველი წარდგენის სხდომები თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც ინფორმაცია სხდომის შესახებ წინასწარ არასოდეს ცხადდება. დადებითი კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ამ საანგარიშო პერიოდში ბათუმის საქალაქო სასამართლომ შექმნა პირველი წარდგენის სხდომების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების პრეცედენტი.

ამასთან, 762 განხილვიდან 93 შემთხვევაში (12%), რომელიც არ მოიცავს პირველი წარდგენის სხდომებს, წინასწარ არ ცხადდებოდა ინფორმაცია სხდომის თარიღისა და დროის შესახებ. წინა საანგარიშო პერიოდში აღკვეთის გარდა სხვა სხდომების 10%-ში ინფორმაცია წინასწარ არ ქვეყნდებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით ყველაზე კარგი მდგომარეობა კვლავ ბათუმის საქალაქო სასამართლოშია, ყველაზე ცუდი კი – თბილისში.

საიამ ასევე გამოავლინა შემდეგი დარღვევები:

- დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის დასაწყისიდან პირველად (2011 წლის ოქტომბრიდან) 669 წინასწარ გამოქვეყნებული საქმიდან არცერთ შემთხვევაში სასამართლო სხდომების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია არ ყოფილა ხარვეზის შემცველი. განცხადებაში ყველა შემთხვევაში სრულყოფილი და უშეცდომო ინფორმაცია იყო მითითებული სხდომის გამართვის დროის, ადგილის, ბრალდებისა და ბრალდებულის მონაცემების შესახებ.

²³ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ (ძალაშია 2013 წლის 1 მაისიდან), მუხლი 13¹.


- ნაფიცი მსაჯულების შერჩევის სამივე ღია სხდომაზე, რომელსაც საია აკვირდებოდა, ინფორმაცია წინასწარ იყო გამოქვეყნებული და საზოგადოებასაც თავისუფლად მიეცა მათზე დასწრების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის წინა პერიოდებში, ბოლო პერიოდის გამოკლებით, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, საზოგადოებას შეზღუდული ჰქონდა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე დასწრების საშუალება, ვინაიდან სხდომის დარბაზის შესასვლელს მანდატურები იცავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სხდომა მოსამართლის მიერ არ იყო დახურული. საია დადებითად აფასებს სასამართლოს მიერ ამ პრობლემის გადაჭრას და იმედს გამოთქვამს, რომ საზოგადოებას არცერთი პროცესის დასწრებისას აღარ შეექმნება მსავსი ხელოვნური პარიერები.
- 1101-დან 5 შემთხვევაში (0.4%) ბრალდებულის ახლობლები ან სხვა დაინტერესებული პირები ვერ დაესწრენ სხდომას დარბაზის სიმცირის გამო. მათ შორის 3 პროცესი იყო გახმაურებული (2 – ბაჩანა ახალიას²⁴ და 1 – გიორგი უგულავას პროცესი).
- 348 არსებითი სხდომიდან²⁵ 56 (16%) დასრულდა განაჩენის საჯარო გამოცხადებით. ამ 56 განაჩენიდან არცერთი ყოფილა გამამართლებელი. 56 გამამტყუნებელი განაჩენიდან ორი გამოტანილი იყო გახმაურებულ საქმეზე, დანარჩენი 54 კი – ჩვეულებრივ საქმეზე. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მდგომარეობას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის აგვისტოს ჩათვლით).

²⁴ ბაჩანა (ბაჩო) ახალია — თავდაცვის ყოფილი მინისტრიდასასჯელანსრულების სისტემის ყოფილი ხელმძღვანელი.

²⁵ სამი სხდომა დახურული იყო.

დიაგრამა №13

სასამართლოს მიერ გამოტანილი
გამამტყუნებელი განაჩენები



- მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, მოსამართლემ არ დაამტკიცა სამი (2%) საპროცესო შეთანხმება. 167 დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებიდან მოსამართლემ ოთხ (2%) შემთხვევაში არ გამოაცხადა განაჩენი საჯაროდ. ამ ორივე შემთხვევაში, მოსამართლემ მხოლოდ აღნიშნა, რომ საპროცესო შეთანხმება დამტკიცებული იყო და დარბაზი დატოვა.

გ. პროცესის მონაცილეთა ქცევა სასამართლო სხდომაზე

საისა მიერ წარმოებული მონიტორინგის განმავლობაში მხარეებისა და სასამართლოს მხრიდან არაერთ სხდომაზე გამოვლინდა, ერთი მხრივ, არაეთიკური და, მეორე მხრივ, კანონის შეუსაბამო ქმედებები. მართალია, თითოეული ეს შემთხვევა კონკრეტული უფლებების გარკვეულნილად შეზღუდვასაც მოიცავს, თუმცა, უფრო მეტად მიუთითებს პროცესის მონაწილეთა არაპროცესიონალიზმსა და არაკომპეტენტურობაზე. აյ არ არის განხილული ისეთი ფაქტები, რომლებიც შექება პროცესის მოხაზილეთა მიერ ნორმის ინტერპრეტაციას ან დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერად (თუნდაც არაგონივრულად) გამოყენებას.

სასამართლო

ერთი არსებითი განხილვის სხდომაზე გამოიკვეთა მოსამართლის არაკვალიფიციური ან/და უყურადღებო საქციელი. კერძოდ, პროკურორმა რამდენჯერმე დააყენა პროტესტი მოწმისათვის დასმული შეკითხვის გახრიდებასთან დაკავშირებით, მოსამართლე კი ჩემად იჯდა და არ ამბობდა, თუ რა გადაწყვეტილებას იღებდა აღნიშნულ პროტესტთან დაკავშირებით მანამ, სანამ პროკურორი არ შეახსენებდა, რომ მას გადაწყვეტილება უნდა მიეღო.

აგრეთვე, ორი არსებითი განხილვის სხდომაზე დაფიქსირდა მოსამართლის არაფორმალური და თავშეუკავებელი საქციელი საბადრაგო სამსახურის წარმომადგენლების, ადვოკატისა და ბრალდებულის მიმართ:

- პირველ შემთხვევაში, დარბაზში შემოსვლისთანავე მოსამართლემ დაიწყო ყვირილი და ჩხუბი საბადრაგო სამსახურის წარმომადგენლების მიმართ. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა ბადრაგებს: „სანამ წიხლს არ გკრავთ, არ უნდა შემოხვიდეთ? ამ დაქცეულ სასამართლოში ხომ ყველაფერი ასეა მოწყობილი!“ ამის შემდეგ მოსამართლე სხდომის მდივანსაც ეჩხუბა იმის გამო, რომ მან უთხრა ბადრაგებს, ბრალდებული სხდომის დარბაზში შემოეყვანათ. სხდომის განმავლობაში მოსამართლემ არაერთხელ გააწყვეტინა ბრალდებულს თავისი შუამდგომლობა, თუმცა კონკრეტული მიზნის

არსებობის გარეშე – ის უბრალოდ ხმამაღლა ჩაილაპა-რაკებდა ხოლმე რაღაცას ან ასევე ხმამაღლა მდივანს მიმართავდა.

- მეორე არსებითი განხილვის სხდომაზე, როგორც ჩანს, მოსამართლე დაღალა ბრალდებულის შეკითხვის დასმის სტილმა, რა დროსაც ბრალდებული სრულად ასახელებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კონკრეტულ ნორმებს. მოსამართლემ მას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „რა იყოთ, გამოცდაზე კი არ არის მოწმე, როგორ კითხვებს უსვამთ?“ ბრალდებულმა კი უპასუხა, რომ გამოცდას ნამდვილად არ უწყობდა მოწმეს და გამოცდა რომ ნდომებოდა, კონკრეტულ მუხლებს კი არ ნაუკითხავდა, არამედ ჰკითხავდა, თუ რა ეწერა ამა და ამ მუხლში. ამავე სხდომაზე მოსამართლემ ადვოკატს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „რით ვერ გაიხსენეთ ეგოერი ოქმი?“

იმავე არსებითი განხილვის სხდომაზე დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი სხდომის ჩაწერასთან დაკავშირებით. კერძოდ, არ ხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და დარბაზში მხოლოდ მას შემდეგ ჩართეს მიკროფონები, რაც პროკურორმა სთხოვა მოსამართლეს, რომ მისი მიკროფონი ჩაერთო.

კიდევ ერთი არსებითი განხილვის სხდომაზე, რომელიც იყო გადადებული სხდომის გაგრძელება, მოსამართლემ დაგვიანებით დაიწყო იმის გამორკვევა, თუ რომელი ბრალდებული იყო ნასამართლევი და რომელი პირობითი სასჯელის ქვეშ, რაც, წესით, გახსნით სხდომაზე უნდა გაეკეთებინა.

პროკურორი

ერთ-ერთი საპროცესო განხილვის სხდომაზე პროკურორის მიერ სასამართლოსათვის მიწოდებულ დოკუმენტში დანაშაულის კვალიფიკაცია არასწორად იყო მითითებული, როს გამოცმისამართლემ უსაყვედურა პროკურორს. პროკურორმა თავი იმართლა და აღნიშნა, რომ ეს, უბრალოდ, ტექნიკური ხარვეზი იყო. კერძოდ, შუამდგომლობაში ეწერა, რომ ბრალდებულს ბრალი ედებოდა ქურდობაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ეს დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ”ა” ქვეპუნქტით, პროკურორს კი თავის შუამდგომლობაში მითითებული ჰქონდა ”ბ” ქვეპუნქტით. ამასთან დაკავშირებით მოსამართლემ იკითხა: “აქ [შუამდგომლობაში] ”ა” ქვეპუნქტი უნდა იყოს თუ ”ბ”? ” რაზეც პროკურორმა უპასუხა: “დიახ, ”ა” ქვეპუნქტი [უნდა იყოს], ტექნიკური ხარვეზია.”

ერთი არსებითი განხილვის სხდომაზე კი, მოსამართლემ გაარკვია, რომ ბრალის წარდგენის დროს ბრალდებულს სრულად არ გააცნეს ბრალი. მოსამართლემ ამის გამო უსაყვედურა პროკურორს და აღნიშნა, რომ არაერთი შემთხვევაა, როდესაც ბრალის არასრულად გაცნობა ხდება ბრალდებულისთვის. მოსამართლე აგრეთვე დაინტერესდა, თუ რატომ არ უტარდებათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი გამომძიებლებს, რომლებიც ძალიან ბევრ შეცდომას უშვებენ.

ადვოკატი

ერთ-ერთ წინასასამართლო სხდომაზე ადვოკატები არღვევდნენ სხდომაზე წესრიგს, გამოიჩინენ არაკოლეგიალური დამოკიდებულებით პროკურორის მიმართ და შემდეგი სიტყვებით მიმართავდნენ მას: „ჩვენმა ”კვალიფიციურმა“ პროკურორმა“. ერთ-ერთმა ადვოკატმა კი განაცხადა: „მე რითი ვარ ამ პროკურორზე ნაკლები, ფერ-ხორცი მაკლია თუ სიმაღლე?“ ამ განცხადების შემდეგ მოსამართლემ მართებულად დააჯარიმა ადვოკატი 100 ლარით. მას შემდეგ კი, რაც ადვოკატმა კვლავ დაარღვია სასამართლო დარბაზში წესრიგი და მოსამართლის ნებართვის გარეშე გააკეთა განცხადებები, მოსამართლემ ჯარიმის ოდენობა 300 ლარამდე გაზიარდა.

დ. სასამართლო პროცესის დროულად გამართვის უზრუნველყოფა

საიას მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა პრობლემები სასამართლო განხილვის დროულად დაწყებასთან დაკავშირებით, რისი მიზეზიც სასამართლოს გადატვირთულობა ან/და პროცესების არასათანადო მენეჯმენტი შეიძლება იყოს. მონიტორინგის აღნიშნულ პერიოდში 762 მოსმენიდან, რომელიც არ მოიცავს პირველი წარდგენის სხდომებს, 66 სხდომა (9%) 40-დან 120 წუთამდე დაგვიანებით დაიწყო. მთლიანად კი, 762-დან

177 (23%) სხდომის დაწყება დაგვიანდა ხუთ წუთზე მეტი ხნით. მიუხედავად იმისა, რომ პროცესების დაგვიანება პრობლემად რჩება, ნინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, სადაც პროცესების 28% 5 წუთზე მეტი ხნით დაგვიანებით დაიწყო, მდგომარეობა მაინც მცირედ გაუმჯობესებულია.

აღნიშნული 177 სხდომიდან:

- 90 შემთხვევაში (51%) მოსამართლემ დააგვიანა;
- 17 შემთხვევაში (10%) სასამართლოს იმავე დარბაზში სხვა მოსმენა გრძელდებოდა;
- 17 შემთხვევაში (10%) ბრალდებულმა დააგვიანა;
- 18 შემთხვევაში (10%) ადვოკატმა დააგვიანა;
- 12 შემთხვევაში (6.5%) პროკურორმა დააგვიანა;
- 1 შემთხვევაში (0.5%) ერთ-ერთი მხარე ესწრებოდა სხვა პროცესს;
- 22 შემთხვევაში (12%) დაგვიანების სხვადასხვა მიზეზი დასახელდა.

დაკვირვების შედეგების შეჯამება

- მონიტორინგის მიმდინარე პერიოდში გაგრძელდა ცალკეული მიმართულებებით სასამართლოს მიდგომების გაუმჯობესების ტენდენცია. კიდევ უფრო შემცირდა დაუსაბუთებელი აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილებები. ეს განსაკუთრებით შეეხება პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებებს.
- სურათი შეიცვალა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახეების თვალსაზრისითაც – მოსამართლებმა უფრო ხშირად დაიწყეს გირაოსა და პატიმრობისაგან განსხვავებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. კერძოდ, ბრალდებულთა 6%-ს შეეფარდა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება, 3% კი გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან აღკვეთის ღონისძიების გარეშე.
- პროეურატურის შუამდგომლობების მცირე ნაწილი აღკვეთის ღონისძიებების შესახებ ჯერ კიდევ დაუსაბუთებელი რჩება. პოზიტიურ ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სასამართლო უფრო ხშირად ცდილობს, თავად გამოარკვიოს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა. სასამართლო, წვეულებრივ, ავტომატურად აღარ აკმაყოფილებს ბრალდების მხარის შუამდგომლობას პატიმრობის შესახებ, შესაბამისად, მისი გადაწყვეტილები უფრო დასაბუთებული გახდა.
- მონიტორინგის ბოლო ორი პერიოდისაგან განსხვავებით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა არცერთი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ წინა სასამართლო განხილვის ეტაპზე შეწყვიტა სისხლის-სამართლებრივი დევნა.
- წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე დასწრების პრობლემა აღარ დაფიქსირებულა და უკვე ყველა მოქალაქისათვის თავისუფლად არის შესაძლებელი ასეთი ტიპის სხდომებზე დასწრება.
- მონიტორინგის განმავლობაში პირველად (2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული) ბათუმის საქალაქო სასამართლომ მოახერხა, წინასწარ გამოექვეყნებინა ინფორმაცია პირველი წარდგენის სხდომების ნაწილის

შესახებ. თბილისისა და ქუთაისის სასამართლოებში ამ მხრივ მდგომარეობა უცვლელი დარჩა.

- მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, წინასა-სამართლო სხდომები, ძირითადად, ისევ რუტინულად მიმდინარეობდა. სასამართლოები, როგორც წესი, ეთანხმებოდნენ პროკურატურის შუამდგომლობას მტკიცებულებების წარდგენის შესახებ. დაცვა, ძირითადად, თავს იკავებდა როგორც საკუთარი მტკიცებულების წარდგენის, ისე ბრალდების მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის მოთხოვნისაგან და, წინა პერიოდებთან შედარებით, ის კიდევ უფრო პასიური ჩანდა.
- რაც შეეხება ჩხრეკასა და ამოღებას, ამ მიმართულებით არაფერო შეცვლილა. კვლავ არსებობს მიზეზი, რომ ეჭვი შევიტანოთ სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ იმ ვალდებულებების შესრულებაში, რომლის მიხედვითაც, მათ არ უნდა ჩაატარონ ან დააკანონონ ისეთი ჩხრეკა და ამოღება, სადაც სათანა-დოდ არ იქნება არგუმენტირებული გადაუდებელი აუ-ცილებლობა.
- მეორედ მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით) დაფიქსირდა ორი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ არასამართლიანად მიიჩნია საპროცესო შეთანხმებით დადგენილი სასჯელი და არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. სხვა მხრივ, საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცესი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, თუმცა, სასამართლო წინა პერიოდებთან შედარებით უფრო გააქტიურებული ჩანდა და მეტ შემთხვევაში ცდილობდა შეთანხმებული სასჯელის სამართლიანობაში დარწმუნებას. კიდევ უფრო შემცირდა იმ საპროცესო შეთანხმებების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ჯარიმას აკისრებდა. აგრეთვე, ოდნავ შემცირდა ჯარიმის საშუალო ოდენობა წინა პერიოდთან შედარებით.
- რაც შეეხება ბრალდებულის კონკრეტულ უფლებებს, შესამჩნევი ცვლილებები არ დაფიქსირებულა. თუმცა, მოსამართლეები გაცილებით უკეთ ახერხებდნენ ბრალდებულთა ინფორმირებას მათი უფლებების შეს-

ახებ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ და იმის გამორკვევას, იყო თუ არა საპროცესო შეთანხმებები არასათანადო მოპყრობის შედეგი. ყველაზე ცუდად უფლებებს მოსამართლეები წინასასამართლო განხილვის ეტაპზე განმარტავდნენ.

- სასამართლო პროცესების დროულად დაწყება კვლავ პრობლემად რჩება. პროცესზე ხშირად მოსამართლეები აგვიანებენ, თუმცა, წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, ამ მიმართულებით მდგომარეობა მცირედ გაუმჯობესებულია.

რეკომენდაციები

ყველა წინა საანგარიშო პერიოდისა და ბოლო დაკვირვების შედეგების გათვალისწინებით, საიამ მოამზადა შემდეგი რეკომენდაციები:

1. სასამართლოებმა უფრო ხშირად უნდა ისარგებლონ მათვის მინიჭებული დისკრეციული უფლებით აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით. მოსამართლეებმა კიდევ უფრო ხშირად უნდა გამოიყენონ ნაკლებად მკაცრი ღონისძიებები (ალტერნატიული ღონისძიებები, პატიმრობისა და გირაოს გარდა) შესაბამის შემთხვევაში და საერთოდ უარი უნდა თქვან აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე, როდესაც პროკურორატურა ვერ ასაბუთებს მისი გამოყენების აუცილებლობას. სასამართლოებმა, ასევე, უნდა მოითხოვონ პროკურორატურისაგან აღკვეთის ღონისძიების უფრო მეტი დასაბუთება და პროკურორატურას დააკისრონ მტკუცების ტვირთი, განსაკუთრებით, გირაოს მოთხოვნის შემთხვევაში.
2. ისეთ ბრალდებულებს, რომელთაც ადვოკატი არ ჰყავთ, მოსამართლეებმა სრულყოფილად უნდა განუმარტონ ყველა აღკვეთის ღონისძიების სახე და მათი გამოყენების შესაძლებლობა. ამასთან, მოსამართლეები უფრო აქტიურად უნდა შეეცადნენ, საკუთარი ინიციატივით გამოარკვიონ, შესაძლებელია თუ არა გირაოსა და პატიმრობაზე უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.
3. საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას მოსამართლეები მეტად უნდა გააქტიურდნენ და დაამტკიცონ მხოლოდ სამართლიანი და კანონიერი საპროცესო შეთანხმებები, რათა არ არსებობდეს ეჭვი სასჯელისა და დანაშაულის პროპორციულობასთან დაკავშირებით.
4. მოწმეთა დაკითხვისას მოსამართლემ უნდა დაიცვას კანონით დადგენილი წესი და არ ჩაერიოს მოწმის დაკითხვაში იმგვარად, რომ დაარღვიოს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი.
5. კანონი უნდა შეიცვალოს, რათა გაფართოვდეს მოსამართლის უფლებამოსილება ბრალდებულთა მიმართ

სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ სა-ბრძოლველად.

6. ბრალდებულის დაცვის განხორციელების სფერო მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს. აუცილებელია, ადვოკატები საქმის განხილვის ყველა ეტაპზე კვალიფიციურად, აქტიურად და დამაჯერებლად ახორციელებდნენ დაცვის უფლებას.
7. მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ ყველა თანაზომიერი ლონისძიება და უზრუნველყონ სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვა, რათა მხარეებს ხელი არ შეეშალოთ თავიანთი პოზიციების სრულყოფილად წარმოდგენაში.
8. აუცილებელია, რომ მოსამართლეებმა სრულყოფილად და გასაგებად განუმარტონ ბრალდებულს მათი ყველა უფლება.
9. სასამართლოები და სამართალდამცავი ორგანოები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდნენ ჩხრეკისა და ამოღების ლონისძიებას. სამართალდამცავმა ორგანოებმა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა ჩაატარონ აღნიშნული ლონისძიება სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, მოსამართლემ კი მხოლოდ საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ უნდა დააკანონოს ასეთი გზით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების ლონისძიება.
10. სასამართლომ უნდა უზრუნველყოს სხდომის შესახებ სრულყოფილი და მართებული ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება.